საქართველოს სოციალისტ-ფედერალისტთა სარევოლიუციო პარტია № 293 1918 წ. სამშაბათი. ივლისის 30 № 29

სახალხო საქმე

მთავარი კომიტეტის ორგანო

ჩვენმა ჯარმა ტუაფსე აიღო: ხელთ იგდეს 4 ზარბაზანი, 12 ტყვიისმფრქვეველი ორთქლმავალები და მრავალი ქონება. იაპონიის მთავრობამ ციმბირში სამხედრო მოქმედების დაწყება გადასწყვიტა. მთავრობა აცხადებს საქ. ტერიტორიაზე პურის თავისუფალ ვაჭრობას.

დ. ბაღდადში ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ უდროოდ გარდაიცვალა

პანტელეიმონ საბას ძე კვირიკაძე

რასაც მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ დედა ფატულო სპირიდონის ასული, მამა მღვდელი საბა დავითის ძე, დები მარიამ და ოლღა, ძმები პარმენ, პლატონ, ამბროსი, ლასი, ბენია და გური კვირიკაძეები. დაკრძალვა ივლისის 30-ს. 3 ს

დავით მალაქიას ძე და ნინო სიმონის ასული ებანოიძეები, გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ, რომ გარდაიცვალა პირველის ცოლის ბიძაშვილი და მეორესი ბიძაშვილი

პანტელეიმონ საბას ძე კვირიკაძე

დაკრძალვა მოხდება ივლისის 30-ს, 3 საათზე დ. ბაღდადში. 802

რკინის გზის სახელმწიფო კონტროლის ქართველი მოსამსახურენი ღრმა მწუხარებით აუწყებენ ნაცნობთ და მეგობრებს თვისი დაუვიწყარ მეგობრის და პატიოსან მუშაკის თანამოსამსახურის

პანტელეიმონ საბას ძე კვირიკაძის

უდროოდ გარდაცვალებას დ. ბაღდადში. 803

ღრმად დამწუხრებულნი, ცაცუ დუტუს ასული, პოლიქსენი და ლოლა აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ ტრაგიკულად დაკარგვას ძვირფასი და დაუვიწყარის, პირველი ქმრისა, მეორენი მამისა

სიმონ მაშურიას ძე დადიანისა.

566

ღრმად დამწუხრებულნი: დედა ანუშკა, დები: ნადეჟდა, ნინო და თეკლე; ბიძები მიხეილ და ანდრია ქადიეიშვილები, პლატონ და სამსონ ჟორდანიები; სიძეები: გერმან გოგიტიძე. შალვა ქოჩუა და ნიკოლოზ დოლიძე აცნობებენ ნათესავთ და ნაცნობთ, რომ ივლისის 30-ს, დღისით სამშაბათს ქ. ოზურგეთში ქალაქის სასაფლაოზე გადახდილი იქნება ორმოცი დღის წირვა და პანაშვიდი ახალ ათონთან ბოლშევიკებთან ბრძოლაში უდროოდ დაკარგული, დაუვიწყარი და საყვარელი

ალექსანდრე (სანდრო) იესეს ძე ქადიეიშვილის

სულის მოსახსენებლად. 797

საციხო ინსპექცია იწვევს პირებს, რომელთაც ჰსურთ მთავარი ციხის უფროსის თანამდებობის მიღება, განაცხადონ ამის შესახებ ინსპექციაში (განოვის ქ. № 11). ამ თანამდებობის მსურველი უნდა იყოს საშუალო განათლების (სასურველია უმაღლესი იურიდიული განათლების), სამხედრო სამსახურში ნამყოფი პოდპოლკოვნიკი ან კაპიტანი, რომელსაც პოდპოლკოვნიკობა დამსახურებული აქვს; საჭიროა ენერგიული და შრომელი პირი, რომელსაც უნარი და სურვილი აქვს საპყრობილეთა საქმის შესწავლისა. სახელმწიფო ქართული ენის ცოდნა სავალდებულოა სასურველია აგრეთვე, რომ ერთი უცხო ენაც იცოდეს.

პირობები: ბინა გათბობით და განათებით, ეტლი და კარგი გასამრჯელო. 795

ფინანსთა სამინისტროსაგან: ფინანსთა სამინისტროს ცნობით ზოგიერთი სახელმწიფო და საზოგადო დაწესებულებები განაგრძობენ დაგროვებას დიდძალი ფულებისა და ასეთ მდგომარეობას ხსნიან იმით, რომ არ ჰყოფნით მიმდინარე მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად ის ფული, რომელსაც მათ აძლევენ განსაზღვრული ნორმებით ბანკები.

ფინანსთა სამინისტრო ამით აცხადებს, რომ აწ ბანკებს ევალებათ აძლიონ ჩეკებით განუსაზღვრელად და მოთხოვნისთანავე ის ფული, რომელიც შეტანილ იქნება ნაღდათ. ამისათვის წინადადება ეძლევათ ყველა სახელმწიფო და იმ საზოგადო დაწესებულებათ, რომელთაც წესდება ავალებს შეიტანონ დაგროვილი ფულები სრულიად სახელმწიფო ბანკში მიმდინარე ანგარიშზე და ამ დავალების შესრულება შეატყობინონ ფინანსთა სამინისტროს.

ამ წინადადების აუსრულებლობა გასინჯული იქნება, როგორც კანონის მოთხოვნილების დარღვევა.

კანცელარიის დირექტორის თანამდებობის დროებითი აღმასრულებელი **დ. აფხაზი.**

1257

ქართულ გერმანულ საკულტურო საზოგადოების წევრობა მოვალეობაა ყოველი ქართველი ინტელიგენტისათვის.

საჭიროა საზოგადოების გაძლიერება წევრთა სიმრავლით და ნივთიერად.

ვისაც ჰსურს წევრობა და ჯერ კიდევ არ ჩაწერილა, შეუძლიან ეხლავე ჩაეწეროს ქართულ-გერმანულ საკულტურო საზოგადოების წევრად თამარ ჯავრიშვილის ასულთან. ფრეილინის ქ. № 11, ეროვნულ საბჭოს ქონებათა სამართველოში დილის 9—3 საათამდე და გერმანელთა ეროვნულ საბჭოს ბინაზე კიროჩნის ქ. № 25. დილის 10—12 და საღამოს 6—8 ს. 1256

ქუთაისის ქალაქის გამგეობა ამით აცხადებს, რომ აგვისტოს 1-დან თავისუფლდება ქალაქის მეორე აფთიაქის გამგის ადგილი. თხოვნების შემოტანა შეიძლება ქალაქის გამგეობაში აგვისტოს 10-მდე. არჩეული პირი **უნდა შეუდგეს** თავის მოვალეობის ასრულებას აგვისტოს 5-დან.

პირობები: ჯამაგირი 45 მან.,—თვიურად, ბინის ქირა 500 მან.,—წელიწადში. 1258

დიდი ცირკი

ძმ. ეფიმოვებისა

მიხეილის პრ., მუშტ., ახლო, საკუთ., ახლად შეკეთ. კაპიტალური საზამთრო შენობა, ტელეფ. 18—60.

1918 წ. **დღეს, ივლისის** 30-ს გაიმართება

დიდი წარმოდგენა

მონაწილეობენ სლასტუშინსკი თავისი „საკვირველი ბურთით", ხასაკიტისანი, ძმ. რიგო, ვუდი და მაი და სხვ.

ანონსი: ივლისის 31-ს გაიმართება ცნობილი კაპელას გასტროლი.

გამგე **პ. ელიზაროვი.** 800

იყიდება რესტორანი, რომელიც ბაღში იმყოფება. ბაღშივე არის მუდმივი თეატრი — მინიატიური. მიხეილის პრ. №193. 783

ვასწავლი ქართულ სიმღერა-გალობას როგორც ვაჟებს, ისევე ქალებსაც. მიღება და ჩაწერა ალ. მაისურაძესთან. სწავლა და მიღება გუნდში დაიწყება 10 აგვისტოდან ყოველ ორშაბათ-პარასკეობით საღ. 5—7 საათ. მამადავითის ქუჩა № 25, სამოქალაქო სკოლაში. გამგე გუნდისა მ. ქავთარაძე. 793

ტფილისი, ივლისის 30

პოლიტიკური კრიზისი

საქართველოს რესპუბლიკის ჯერ კიდევ ნორჩი მთავრობა ძალ-ღონეს არ ზოგავს ქვეყნის გადასარჩენად. მეტად რთულს, მძიმე პირობებში იმყოფება ჩვენი ქვეყანა. ცხოვრების ყოველი დარგი აწეწილ-დაწეწილია, დაცემული, გაპარტახებული. სახელმწიფოსათვის ელემენტარული ფაქტორებიც არ არის ჯერ საბოლოოდ შემზადებული და თუ ასეთ პირობებში ჩვენი მთავრობა მაინც ახერხებს ძლევა-მოსილ ბრძოლის წარმოებას სხვა და სხვა მეამბოხე მტრის წინაღმდეგ — აშკარაა ეს ძლევა-მოსილება მთავრობის მხნეობას და ხალხის შეგნებულ წრეებს მიეწერება.

ის, რაც ეხლა ხდება ტუაფსეს და კავკავის მიმართულებით, გამარჯვება ბორჩალოში, ოსეთში, დუშეთში, თიანეთში, აფხაზეთში, რაჭა-იმერეთში, ყველა ეს გამარჯვება სახელს და ძალას უკეთებს საქართველოს რესპუბლიკას, ეს აწყნარებს საშინაო ძალას, ლაგამს სდებს ჯერ კიდევ საკმაოდ არსებულ მტრების ძალებს ჩვენს ქვეყანაში და საშუალებას აძლევს ახალგაზრდა სახელმწიფოს შექმნას სამეურნეო, საპოლიტიკო და საკულტურო ცხოვრებისათვის ნორმალური პირობები.

ამნაირად პოლიტიკური კრიზისი თან და თან ჰქრება, ეროვნული შეგნება იზრდება და იწყება მხურვალე პოზიტიური ეროვნული შემოქმედება. მაგრამ ის, რაც ხდება შინაურ მტრებთან და საქართველოს პერიფერიებში, გამარჯვება ბოლშევიკებთან, თათრებთან და ოსებთან კიდევ არ ნიშნავს საქმის საბოლოოდ მოგვარებას; პოლიტიკური კრიზისის ელემენტები უმეტესად თვით ჩვენი ხალხის მასაში არსებობს და საჭიროა კრიზისის ეს უკანასკნელი ბუდეც ამოვაგდოთ.

ვერ დავმალავთ, რომ ჩვენი ხალხი თითქოს მოიქანცა ამ ბოლო დროს და გულგრილად შეჰყურებს საქართველოს პოლიტიკურ ცხოვრებას. მას აღარ ამოძრავებს საქართველოს მთავრობის ცვალებადობა, ის მოწყვეტილია საქართველოს პარლამენტის მუშაობას და არავითარ მონაწილეობას არ იღებს უშუამავლოთ საკანონმდებლო მუშაობაში. ამავე დროს უამრავი მასალა მოგვეპოვება ხალხის ფსიქოლოგიის შესასწავლად, რომელიც გარკვევით ამბობს: — აღარ გვინდა მოქადაგენი, მიტინგები, კრებებიო. ჩვენ ვფიქრობთ, რომ სწორედ აქ არის საქართველოს პოლიტიკურ კრიზისის სათავე, აქ არის მუდმივი საფრთხე საქართველოს დამოუკიდებლობისა, თავისუფლებისა და რესპუბლიკის ყველა ცოცხალმა ძალამ დემოკრატიზმის ეს გულგრილობა უნდა გაანელოს უპირველეს ყოვლისა.

დარწმუნებული ვართ, რომ ამ კრიზისის სრული გაუქმება სავსებით ჩვენს ხელშია. მართალია ხალხს მოსწყინდნენ მოქადაგენი და სალაყბოები, მაგრამ მოსწყინდა იმიტომ, რომ იყო მხოლოდ ლაპარაკი, დაპირება და საქმე კი არაფერი კეთდებოდა. უსაქმო ლაყბობა, კინკლაობა, პოლიტიკური დოლი — აი დახასიათება რევოლიუციის პირველი ხანის ჩვენი მუშაობისა. ამ ჟამად მდგომარეობა შეცვლილია. გათავდა უსაქმო ლაპარაკის ხანა და ჩვენს დემოკრატიას დღეს თამამად შეუძლია უფრო საქმიანად, პრაქტიკულად და არსებითად იმუშაოს ხალხთან, ხალხში. ის დიდი მუშაობა, რომელიც დღეს სწარმოებს საქართველოს მთავრობასა და ეროვნულ საბჭოში, მძაფრი საკანონმდებლო მუშაობა ძვირფასი მასალაა იმ გამოფხიზლებისათვის, რომელიც ესაჭიროება ჩვენს სახელმწიფოს, რათა სახელმწიფოსა და ხალხს შორის შეიქმნეს მჭიდრო ორგანიული კავშირი. ცოცხალი და ძლიერი ურთიერთობა ხალხსა და მთავრობის შორის — აი რა მოსპობს საბოლოოდ არსებულ პოლიტიკურ კრიზისს და აამოძრავებს სახელმწიფოს ყოველ ორგანოს. ასეთი მდგომარეობისათვის დიდძალი მასალა არსებობს მრავალ კანონის სახით რომელთა გარჩევა-შესწავლა უნდა გადავიტანოთ ხალხში და ხალხი დავუახლოვოთ იმ აღმშენებლითი მუშაობას, რომელიც სწარმოებს საქართველოში. ამ შემოქმედებაში ჩავითრიოთ ხალხი და გვერწმუნეთ: შენობას, რომელსაც თვითონ ხალხი აგებს, ვერ დაანგრევს ვერავითარი ძალა.

სოფლის ადმინისტრაცია

არეულ-დარეულობისა და უპასუხისმგებლო პირების მიერ გამოწვეული ანარქიის დროს ხშირად ერთგვარი უიმედობა დაეტყობა ხოლმე იმათ, ვინც ჩვენი ხალხის სულიერ განწყობილებას ვერ იცნობს და საზოგადოდ ხალხს არ იცნობს. მაგრამ ის, ვინც მუდამ ახლო იდგა ხალხთან, დარწმუნებული იყო და არის, რომ ქართველ ხალხს ძალიანა აქვს განვითარებული გრძნობა კანონიერებისა. მომავალი ისტორიკოსი ჩვენი მოძრაობისა გულდასმით, ობიექტიურად გამოიკვლევს ყველაფერს და მაშინ უფრო ცხადი გახდება ყველასთვის, რომ არეულობა განსაკუთრებით იქ იყო ხოლმე ძლიერი, სადაც ჭრელი მოსახლეობაა, სადაც პოლიტიკურ ავანტიურისტებსა და საქართველოს თავისუფლების მტრებს საშუალება ეძლევათ გონება განუვითარებლობა ჩვენი ხალხისა თავისი ბნელი მიზნების სასარგებლოდ გამოიყენონ. მაგრამ იქ, სადაც ასეთი ჭრელი მოსახლეობა არ არის, იქ საერთო წესიერება თითქმის არ დარღვეულა მთელი რევოლიუციის განმავლობაში.

გასაოცარიც კია, როგორ შეინახა ქართველმა ხალხმა ის საერთო წესიერება, რომელიც დღეს საშუალებას გვაძლევს დადებითს საალმშენებლო სახელმწიფოებრივ შემოქმედებას შევუდგეთ? ყველაფერი კეთდება იმისთვის, რომ წესიერება დარღვეულიყო, ყოველი ღონისძიება იყო ნახმარი, რომ ჩვენს ხალხს გზა-კვალი დაჰბნეოდა და პოლიტიკურ წინააღმდეგობათა მორევში მას დაჰკარგოდა ყოველივე უნარი თავდაცვისა. მაგრამ ბუნებრივი ინსინქტი თავ-დაცვისა ჩვენს ხალხში უფრო ძლიერი აღმოჩნდა და ანარქისტული წრევის პროცესმა მასში მასიური ხასიათი ვერ მიიღო.

დანამდვილებით შეიძლება ითქვას, რომ ბევრგან ექსცესებს სრულიადაც არ ექნებოდა ადგილი, ადმინისტრატიული აპარატი რომ მოშლილი არ ყოფილიყო. მაგრამ ცენტრალური ადმინისტრატიული აპარატის მოშლის გამო, რასაც თავის მხრით იწვევდა საერთო პოლიტიკური კურსის მერყეობა და გამოურკვევლობა, შეუძლებლად ჰხდიდა ძლიერი ადმინისტრატიული მექანიზმის შექმნას. უდიდესი გარეშე და შინაური პოლიტიკის საქმეებში გართულმა მთავრობამ ვეღარ მოასწრო ადმინისტრატიული აპარატის მოწყობა ისე, როგორც საჭირო იყო.

სოფელი სრულიად უპატრონოდ დარჩა და, რასაკვირველია, მას მაშინათვე უპასუხისმგებლო პირები დაეპატრონენ ისეთი ადამიანები, რომელნიც თავიანთ მოქმედებაში არავის წინაშე არ აგებდნენ პასუხს.

დღეს მთავრობას განზრახული აქვს ამ ადმინისტრატიულ ანარქიას ბოლო მოუღოს. საქართველოს ეროვნულმა საბჭომ უკვე მიიღო მთელი რიგი კანონებისა, რომელთა დანიშნულებაც იმაში გამოიხატება, რომ აღსდგეს ადმინისტრატიული აპარატი. ამ კანონთა შორის ჩვენ ყველაზე მეტს მნიშვნელობას ვაძლევთ კანონს სოფლის კომისრებისა და მილიციის შესახებ.

ამ კანონის შესახებ ერთი რამ უნდა ითქვას, თუ გვინდა მან თავის მიზანს მიაღწიოს. კანონში არ არის აღნიშნული ვადა სოფლის კომისრის არჩევისა. ამას შეუძლიან ბევრი გაუგებრობა დაჰბადოს და ბევრს აფიქრებინოს, რომ ყოველს წუთს და ყოველ ჟამს ყოველი შემთხვევის გამო შეიძლება კომისრის გადაყენება და ახალი კომისარის არჩევა. ნამდვილად კი ეს ასე არ არის. მეორეს მხრით აღნიშნული არ არის, რა წესითა და საშუალებით შეუძლიან მოქალაქეთ დაიცვან თავიანთი უფლებანი სოფლის კომისარის უკანონო საქციელის გამო, რა პირობებში შეიძლება კომისარის სამართალში მიცემა უკანონო საქციელის გამო და სხვა.

ყველა ამ დეფექტის ასაცილებლად საჭიროა შემუშავდეს დებულება სოფლის კომისარის უფლება-მოვალეობათა შესახებ. ეს სადა და მარტივი ენით დაწერილი დებულება სოფლის კომისართა უფლება-მოვალეობის შესახებ ფართოდ უნდა გავრცელდეს ხალხში და ყოველს სასოფლო კანცელარიაში უნდა იყოს გამოკრული როგორც მოქალაქეთა, ისე თვით კომისარის სახელმძღვანელოდ.

გარდა ამისა, კომისრების არჩევნები, თანახმად ახლად მიღებული კანონისა, აუცილებლად მაზრის კომისრის განკარგულებით უნდა მოჰხდეს. მისივე თანადასწრებით და მთელი პროცედურა არჩევნებისა განმტკიცდეს სათანადო ოქმით.

ურიგო არ იქნება, თუ სოფლის კომისარს რაიმე გარეგნული ნიშანიც ექნება; ყველაფერი ეს დამატებით უნდა დაერთოს კანონს განსაკუთრებული დებულების სახით. სანამ ეს დებულება არ შემუშავდება, ახალი არჩევნების მოხდენა არ ივარგებს.

თუ სოფლის ადმინისტრაცია წესიერად მოეწყო, მტკიცე საფუძველი ჩაეყრება ჩვენს სახელმწიფოებრივობას. ხალხის ფართო მასა დიდიხანია მონატრულია წესიერებას. როდესაც იგი დაინახავს, რომ არის მთავრობა, რომელიც წესიერებასაც იცავს და მშრომელი ხალხის ინტერესებსაც, მისი ავტორიტეტი გაიზრდება და ველარავითარი პროვოკაცია მაშინ მას ანარქისტული ექსცესების გზაზე ვერ გამოიყვანს.

არ. ჯაჯანაშვილი.

მთავრობაში

ფინანსთა და ვაჭრობა-მრეწველობის მინისტრი გ. ჟურული ფოთში გაემგზავრა საორგანიზაციო და საადმინისტრაციო საკითხების გამო.

საქონლის გამცვლელ კომისიაში (საქართველოსა და გერმანიას შორის) გარეშე საქმეთა სამინისტროს წარმომადგენლად დაინიშნა პ. სურგულაძე.

მთავრობამ დაადგინა: 1) გამოაცხადოს საქართველოს ტერიტორიაზე პურისა და სიმინდის თავისუფალი ვაჭრობის უფლება ბორჩალოს მაზრის გამოკლებით.

2) საზღვარ გარეთიდენ პურის მარცვლის უფასოდ შემოტანა-გატანა კი აკრძალულია.

3) ყველა სასურსათო კომიტეტები: საგუბერნიო, საოლქო, სამაზრო, სასოფლო, ამ დადგენილების გამოცხადების დღიდან გაუქმებულ უნდა იქმნენ და უფლება არ ექნებათ რაიმე დადგენილების გამოცემისა.

4) სასურსათო სამინისტროს მიენდო ერთი თვის განმავლობაში გუბერნიის სასურსათო კომიტეტისა და სხვა კომი-

ტეტების ერთი კვირის განმავლობაში ლიკვიდაცია.

5) შინაგან საქმეთა და სასურსათო მინისტრებს მიენდო ენერგიული ზომები მიიღონ სპეკულიაციასთან საბრძოლველად დ გადამალული საქონელი ჩამოართვან და დამნაშავენი პასუხის გებაში მისცენ.

6) შინაგან საქმეთა, გზათა მიმოსვლის და სასურსათოს მინისტრებს დაევალათ მიიღონ ზომები ამ დადგენილების დაჩქარებით ცხოვრებაში გასატარებლად.

7) სასურსათო სამინისტროს დაევალა ყოველგვარი საქონლის გაყიდვის შესახებ შეიმუშაოს პროქტი და მომავალ სხდომაზე წარმოადგინოს.

უკანასკნელი ცნობები.

სომეხთა დელეგაციის თავმჯდომარე ატყობინებს სომხის მისიას, რომ სტამბოლის კონფერენცია ორი კვირით გადადებულ იქმნა.

საჩხერიდან. იტყობინებიან, რომ იქ მოუკლავთ ოკრიბის აჯანყების ხელმძღვანელი ყაჩაღი ბორჩაძე

სომეხთა სამხედრო მისია აცხადებს, რომ მას არავითარი ცნობა არა აქვს ბაქოსთან ანდრონიკის პარტიზანული რაზმის გამოსვლის შესახებ.

ტუაფსეს აღება

ტფილისი. 7—27. ივლისის 27-ს სალამოს სამხედრო მინისტრმა შემდეგი დეპეშა მიიღო გენერალ მაზნიაშვილისაგან: „გაუწყებთ, რომ ივლისის 26--, 20 საათზე 12 საათის სასტიკი ბრძოლის შემდეგ ქალაქი ტუაფსე ავიღეთ. მტერი სასტიკ წინააღმდეგობას გვიწევდა; თითოეული გორაკის აღება ბრძოლით გვიხდებოდა. დავატყვევეთ მრავალი, ხელთ ვიგდეთ 4 ზარბაზანი, 12 ტყვიისმფრქვეველი, უამრავი ყუმბარა, ტყვია-წამალი, სხვა და სხვა ზომის გემები, ავტომობილები; 5 ორთქლმავალი, ვაგონები, უამრავი საინტენდანტო ქონება. დანარჩენი ნადავლი ჯერ გამორკვეული არაა. ჩვენი ზარალი უმნიშვნელოა. ეს არტილერიის მედგარ მოქმედებას უნდა მიეწეროს. ჩვენ დაგვიჭრეს 10 კაცი, მოგვიკლეს ერთი. დაჭრილთა რიცხვში არიან მე-3 ქართულ პოლკის შტაბს-კაპიტანი დოლაბერიძე და წითელი რაზმელი პორუჩიკი ნოვიკოვი. მტერი—რიცხვით 1200 კაცი—3 ჯავშნოსანი ვაგონითა და ავტომობილით არმავირისაკენ გაიქცა. გაუწყებთ რა ამას, ვშუამდგომლობ თქვენს წინაშე, რათა პოლკოვნიკ ამირეჯიბს გენერალმაიორობა უბოძოთ, ხოლო მე-6 ბატარეის კომანდირს კაპიტან იაშვილს პოდპოლკოვნიკობა და პირველი ბატარეის კომანდირს შტაბს-კაპიტანს ქუთათელაძეს კაპიტნობა“.

ივლისის 28-ს სამხედრო მინისტრმა საპასუხო დეპეშა გაუგზავნა გენერალ მაზნიაშვილს: „მადლობა გადაეცით თქვენს მეომრებს რესპუბლიკის სამსახურისა და გმირული ბრძოლისათვის. მედგარი ბრძოლისათვის პოლკოვნიკ ამირეჯიბს ვუბოძებ გენერალ-მაიორობას, მე-6 ბატარეის კომანდირს კაპიტან იაშვილს პოდპოლკოვნიკობას, და პირველი ბატარეის კომანდირს შტაბს-კაპიტანს ქუთათელაძეს კაპიტნობას .

საქართველოს სამხედრო მინისტრი: **გიორგაძე.**

უცხოეთი

ციმბირის გარშემო.

ტოკიო 7—25 (რეიტერის სააგენტო). სახელმწიფო საბჭომ იმპერატორის თავმჯდომარეობით მოიწონა მთავრობის ზომები, რომელიც ციმბირში უნდა იქმნას მიღებული. დროებითმა მთავრობამ ნოტა ჩააბარა მოკავშირეებს, რომლითაც ის ითხოვს შეერთებულად ვიმოქმედოთ ციმბირშიო. მოკავშირეთა მდგომარეობა დამოკიდებულია იმაზე, თუ როგორი იქნება მდგომარეობა აღმოსავლეთ ციმბირში.

გერმანიის სამხედრო მდგომარეობა.

ბავარიის სამხედრო მინისტრმა მოხსენება წაიკითხა ბავარიის პალატაში სამხედრო მდგომარეობის შესახებ: „ნედლი მასალა—სთქვა მან—რომელიც ამ ჟამად გვაქვს, იმ დრომდე გვეყოფა, სანამდე ჩვენი მტრები ჩვენთან ბრძოლას მოისურვებენ, თუ ზოგიერთი მასალა, მაგ. ლითონისა დალევაზეა, მოვსძებნით სხვა მასალას, რომელიც თავისი ხარისხით პირველს არ ჩამოუვარდება. სამშობლოს დასაცავად ჩვენს განკარგულებაშია ყოველგვარი დიდ-ძალი იარაღი დაცვისა. თავისი მტრის გეგმა ყველამ უნდა იცოდეს, მაშინ უფრო გაძლიერდება სურვილი წინააღმდეგობის გაწევისა, ჩვენ გვექნება ძლიერი შინაური ფრონტი რომელიც სამშობლოს სამსხვერპლოდ განმზადებულ ლაშქართან შეერთებული იომებს ბოლომდის და დაიცავს გერმანიის საარსებო ინტერესებს.“ მოხსენება სამხედრო მდგომარეობის შესახებ ერთხმად იქმნა მოწონებული.

მირბახის მოკვლა და მოსკოვის არეულობა

ბერლინი. 7—28. თანდათან ირკვევა რომ გრაფ მირბახის მოკვლა დაკავშირებულია მოსკოვსა და სხვა ქალაქებში მომხდარ არეულობასთან: ორივეს მიზანი ერთი იყო გერმანიასთან ომის განახლება. ივლისის 6-ს, ნაშუადღევს, გრაფ მირბახს დაეცნენ; თითქმის იმავე დროს, იმავე საათს, მოხდა აჯანყება იაროსლავში. წინა დღით იაროსლავში მოვიდნენ სერბელი მაიორი და ორი სხვა ოფიცერი მოკავშირე სახელმწიფოებისა. ივლისის 6-ს შუადღეზე ვოლოგდიდან 160 კაცი მოვიდა ეგრე წოდებული „ჩრდილოეთის მოხალისენი“. აჯანყებულ თეთრ-რაზმელებს იაროსლავში მოკავშირეთა აგენტმა შეატყობინა—შეგიძლიანთ ბრძოლა დაიწყოთ, ძლიერი სამხედრო ტრანსპორტები უკვე გზაში არის და ჩრდილოეთიდან იაროსლავში მოდისო. შემდეგ დ. ეებში, ბრძოლის დროს, თეთრი—ოაზმელების შტაბმა იაროსლავში ოფიციალურად გამოაცხადა გერმანიასთან საომარ დამოკიდებულებაში ვართო—და დაატყვევა იქ მყოფი 2000 გერმანელი სამხედრო ტყვე და მათი მზრუნველი კომისია. როდესაც თეთრი რაზმი დარწმუნდა, რომ საქმე წაგებული იყო, მან გადასცა იარაღი გერმანელ სარდალს, ოფიცერ-ლეიტენანტს ბალკს, თვითონ ტყვედ გადაეცა გერმანელებს, რომელთაც ისინი საბჭოთა მთავრობის განკარგულებაში გადასცეს.

მუროვიოვის ავანტიურას ივლისის 8-ს ქონდა ადგილი. მუროვიოვი საბჭოთა ჯარის მთავარ-სარდლად იყო და ჩეხ-სლოვაკების წინააღმდეგ უნდა ებრძოლა. იგი ცნობილი ავანტიურისტი და მექრთამე იყო. მოკავშირეთა აგენტებმა იგი მოისყიდეს. მუროვიოვი პროპაგანდას ეწევა ხალხში და მოუწოდებს რომ თუ ჩეხ-სლოვაკებს შეერთებოდენ, არამედ გერმანიის წინააღმდეგ ბრძოლა გაეჩაღებინათ: აქვე მიზნად დასახული იყო მირბახის მოკვლა. რასაკვირველია, ყველა ამ ხერხის მიზანი იყო ბოლშევიკების მთავრობა ჩამოეგდოთ და ხალხში გერმანიისადმი შული გაეღვივებინათ, რათა მასთან ომი განახლებიათ სხვა და სხვა ადგილას მაგრამ ერთსა და იმავე დროს არეულობის მოწყობა მოწმობს იმას, რომ ყველაფერ ამას გამოცდილი ხელმძღვანელები მეთაურობდნენ.

ომის დეპეშები

დასავლეთის ფრონტი.

ბერლინი. 7—27. კრონპრინც რუპრეხტის ლაშქარი. სალამოს მოქმედება გაცხოველდა. ბრძოლა ღამით გაძლიერდა, განსაკუთრებით სკარპის ორსავე ნაპირას: აქ ინგლისელების ქვეითა ჯარმა იერიშები მოიტანა, მაგრამ უნაყოფოდ.

გერმანელ კრონპრინცის ლაშქარი. სუასონსა და რეიმსს შუა გუშინ სალამოს ბრძოლა შესუსტდა. შამპანში ფრანგების იერიშები პერტის ორსავე მხარეს მოვიგერიეთ.

ჰერცოგ ალბრეხტის ლაშქარი. ვოგეზებსა და ზუნდგაუში ჩვენი მზვერავები ბრწყინვალედ მოქმედებენ.

ბერლინი. 7—27. სალამოს ცნობა. ფრონტებზე დღეს სიწყნარე იყო.

ბერლინი. 7—28. კრონპრინც რუპრეხტის ლაშქარი. მტრის იერიშები მონდიდიესთან მოვიგერიეთ. დანარჩენ ფრონტზე საარტილერიო მოქმედებაა.

გერმანელ კონპრინცის ლაშქარი. ფრონტზე სიწყნარე იყო. შამპანში მტერმა ადგილობრივი იერიშები მოიტანა და ჩვენს მოწინავე ხაზებში შემოიჭრა ფიხტელ-ბერგის სამხრეთით. კონტრიერიშით მტერი უკან გავრეკეთ.

პარიზი. 7—28. მარნას ჩრდილოეთით, ფრანგები განაგრძობენ წინსვლას მდ. ურკის რაიონში. მიუხედავად იმისა, რომ გერმანელები დიდ წინააღმდეგობას უწევდნენ და სცდილობდნენ შეეფერხებინათ ფრანგებისათვის მდინარის გადალახვა, ფრანგებმა მაინც მოახერხეს და გადაიტანეს თავის მოწინავე ხაზები მდინარის ჩრდილო ნაპირას. ფრანგები შერ-ენ-ტორდენუაში შევიდნენ. რისის ტყის ჩრდილო-აღმოსავლეთით ფრანგებმა დაიპყრეს ანტენე, ოლიდი-ვიოლენი და თავისი ხაზები რეიმს-ტერმანის გზას მიუახლოვეს. შამპანში მოვიგერიეთ გერმანელების იერიში, რომლის მოტანის წინ მათ ყუმბარები დაუშინეს მთების სამხრეთით მდებარე მიდამოს.

ზღვაზე.

ვენა. 7—28. საომარი მოქმედება ზღვაზე. ივლისის 24-ს, ღამით, ჩვენმა ჰიდრო-ჰაეროპლანებმა ბრწყინვალედ მიიტანეს იერიში ინგლისის ჰაეროდრომზე, ალმენი-პიკოლოს ტბასთან და ოტრანტოსთან. ჰაეროდრომები მეტ წილად განადგურებულია. ჩვენი მფრინავები უვნებელი დაბრუნდნენ.

პალესტინის ფრონტი.

სტამბოლი. 7—27. სანაპიროებით ღამით სატყვიისმფრქვევლო ბრძოლა იყო, რომლის დროს ხელის ყუმბარებსაც ხმარობდნენ. მთელი დღე საარტილერიო ბრძოლა იყო. ფრონტის სხვა და სხვა ადგილას საჰაერო ბრძოლაა. იორდანეს აღმოსავლეთ ნაპირას ჩვენ გავრეკეთ მტრის ქვეითა ჯარის და კავალერიის მზვერავთა რაზმები.

საჰაერო ბრძოლა. ივლისის 25-ს ჩვენმა მფრინავებმა იერიში მიიტანეს მტრის მფრინავთა ბანაკზე, იმპროსთან. მიუხედავად იმისა, რომ მოწინააღმდეგე თავის დასაცავად ტყვიის მფრქვევლებიდან ისროდა, ჩვენმა მფრინავებმა მაინც ჩამოყარეს მტრის ბანაკში 700 კილოგრამი ასაფეთქებელი მასალისა. ჩვენებმა საჰაეროპლანო საწყობები და შენობები დაანგრიეს ყუმბარებით. ჩვენი ესკადრილია უვნებელი დაბრუნდა. უკანასკნელ ღამეს რამოდენიმე მტრის ჰაეროპლანმა იერიშები მიიტანა სტამბოლზე; მათი იერიშები ჩვენ მოვიგერიეთ. რამდენიმე ყუმბარა ისროლეს მათ, მაგრამ ვერავითარი ზიანი ვერ მიაყენეს.

სტამბოლი. 7—28. ზომიერი საარტილერიო ბრძოლაა და გაცხოველებული საჰაერო მოქმედება. გუშინ ღამით, ჩვენ იერიში მივიტანეთ იერუსალემ-ნაბულუსის გზის დასავლეთით მტრის რაზმზე. მაანის მახლობლად და რკინის გზის ჩრდილოეთით ახალი ბრძოლა გაიმართა: ჩვენ ბრწყინვალედ მოქმედებდით. რამდენიმე ათას ინგლისელისა და აჯანყებულის შეერთებული რაზმი, ზარბაზნებითა და ტყვიის მფრქვევლებით შეიარაღებული სისხლით იცლებოდა იმ იერიშების დროს, რომელიც მან მოიტანა და რომელიც სალამომდე გაგრძელდა.

ჩვენმა რაზმებმა თავისი მედგარი მოქმედებით მოიგერიეს მათი იერიშები. შარდენთან ჩვენმა სასიმაგრო ნაწილებმა იერიში მიიტანეს მტერზე ჩრდილოეთით და სამხრეთით და უთავბოლოდ ოტებული მტერს მრავალი მოუკლეს.

საჰაერო ბრძოლაში ჩვენმა ესკადრილიამ იერიში მიიტანა მტრის ბანაკზე, მაანის დასავლეთით.

ეროვნული საბჭო

ივლისის 26 სალამოს სხდომა.

სხდომა იხსნება სწორედ ცხრა საათზე **კ. ჩხეიძის** თავმჯდომარეობით, რომელიც მოაგონებს საბჭოს, რომ დღისით საბჭო შეჩერდა საადმინისტრაციო პირთა შტატების კანონპროექტზე და მსურველს სთხოვს გამოსთქვას აზრი მის შესახებ.

ვას. წერეთელი (ნაც.-დემ.) ჩვენი გუბერნიები ძველს სატრაპიებს წარმოადგენენ. ჩვენი პატარა საქართველო შესდგება ორ გუბერნიისგან და მას ჰყავს ორ გუბერნატორის გარდა კ დევ ერთი მინისტრი შინაგან საქმეთა. თვითონ ის ორი გუბერნატორი, ე. ი. საგუბერნიო კომისარი უპასუხისმგებლოა ყველასთან, გარდა შინაგან საქმეთა მინისტრისა და თავის გუბერნიაში ის ნამდვილი მინისტრია.

დღეს დაკანონება ამ ორ საგუბერნიო კომისრის შტატისა ნაადრევია. ნაადრევია იმიტომ, რომ მთავრობის წრეებშიაც და ეროვნულ საბჭოშიაც ის აზრი ტრიალებს, რომ საგუბერნიო ერობა ჩვენში არ უნდა იყოს სრულიად და რომ საკმარისია სავსებით მარტო სამაზრო საერობო ერთეულები

ამიტომ ჩვენ ზედმეტად მიგვაჩნია ეს უპასუხისმგებლო თანამდებობა საგუბერნიო კომისრებისა. ჩვენ მათ უარვყოფთ. თუმცა შესაძლებელია ეს თანამდებობა საჭირო იყოს კონტრ-რევოლუციასთან საბრძოლველ დ, რაც შინაგან საქმეთა მინისტრს ძალიან ფართოდ ესმის, მაგრამ ჩვენ ვფიქრობთ, რომ ამ თანამდებობის მოსპობით ფინანსებში ეკონომია მოჰხდება; მაშინ მოისპობა აგრეთვე გუბერნიის სამართველო (губернское правленіе), რომლის შენახვა ჩვენ იაფად არ გვიჯდება.

ნ. რამიშვილი. შინაგან საქმეთა მინისტრი არ ფიქრობს, რომ ის ორი „მინისტრი“ შებღალავს მის უფლებას. რაც შეეხება ადმინისტრატიულ ცვლილება-გადაჯგუფებას, ამის შესახებ მე გავუზიარე კომისიას აზრი, რომ განზრახულია ადმინისტრატიული გადაჯგუფება, მაგ., გორის მაზრის ორ ან სამ მაზრად დაყოფა, სვანეთის ცალკე გამოყოფა და სხვა. მაგრამ ბ-ნ წერეთელს ალბად მოეხსენება, რომ კანონ-პროექტი მოითხოვს დიდძალს მასალების შეგროვებას, მათ შესწავლას და შემდეგ ამისა უნდა მოჰხდეს რეფორმა. ეხლა, როცა მუშაობა საბოლოო ადმინისტრატიულ გამიჯვნისათვის არ დასრულებულა, ყოვლად შეუძლებელია რაიმე ცვლილების მოხდენა, ხოლო ასეთ რეფორმის განხორციელება ითხოვს სულ უკანასკნელს ორსამ თვეს. მანამდე კი საჭიროა ვიზრუნოთ იმ მოსამსახურე პირებზე, რომელნიც რამდენადაც კი შეუძლიანთ ემსახურებიან რესპუბლიკის კეთილდღეობას. ვინაიდან არ შეიძლება უარყოფა იმისი, რომ იმათი სასყიდელი მეტად მცირეა, რომ ზოგიერთ სამინისტროში საქმის მწარმოებელს მათზე მეტი აქვთ, ამისთვის სამინისტროს კანონ-პროექტის უკან წაღება შეუძლებლად მიაჩნია. პირიქით იგი მოითხოვს ეხლავე მის განხილვას და მიღებას.

რაც შეეხება უპასუხისმგებლობას, ამაზე განვაცხადებ, რომ არ ყოფილა მაგალითი, რომ ბოროტმოქმედების ჩადენისთვის პასუხისმგებლობაში არ ყოფილიყვნენ მიცემულნი და ასეთი ბოროტმოქმედების მიმალვაც, თუ კი იგი მოხდა, შეუძლებელია, რაკი არსებობს პარლამენტი და მისი უფლება შეკითხვების შეტანისა.

კირ. ნინიძე. საჭიროა კანონ-პროექტში ჩაემატოს სამაზროს შემდეგ „და სარაიონო კომისრები“, ხოლო იქ, სადაც კომისართა და მათ თანაშემწეთა რაოდენობაა მოყვანილი, საჭიროა შემდეგი ჩაემატოს: „და 32 სარაიონო კომისარი ტფილისის გუბერნიაში, 24 ქუთაისის გუბერნიაში და 4 სოხუმის ოლქში“.

რ. ივანიცკი (ნაც.-დემ.) ამ კანონპროექტში არაფერია ნათქვამი ზაქათალის ოლქზე. ამას კი დიდი პოლიტიკური მნიშვნელობა აქვს და შესაფერ ზეგავლენას ახდენს სადაც ჯერ არს. ამიტომ ვითხოვთ კანონპროექტში შეტანილი იყოს ზაქათალის ოლქის საადმინისტრაციო ხარჯები.

საბჭო უკამათოდ იღებს ნინიძისა და ივანიცკის შესწორებებს.

შემდეგი განსახილველი საკითხია მილიციაში მოსამსახურეთათვის ჯამაგირების მომატება.

ს. დადიანი (სოციალ-ფედერალ.) მოქალაქენო, ერის წარმომადგენელნო! სამივე კანონპროექტი, რომელნიც საბჭოს განსახილველად წარმოდგენილია, შეეხება ერთს და იმავე უწყებას, ერთ და იმავე ხასიათისაა და ამიტომ ნება მიბოძეთ ზოგადი მოსაზრებანი მოგახსენოთ ყველას შესახებ.

უპირველესად ყოვლისა უნდა აღვნიშნო, რომ თითქმის ყოველი ნაბიჯი არსებულ ბურჟუაზიულ - კაპიტალისტურ წესწყობილებაში სოციალისტის მიერ გადადგმული შეიცავს ერთგვარს კომპრომისს სოციალისტურ შეგნების წინაშე.

მით უმეტეს დიდი კომპრომისები სჭირდება სოციალისტურს პარტიებს, როდესაც მათ ისტორია დააკისრებს ხოლმე არა სოციალისტურ საზოგადოების ან სახელმწიფოს აღმშენებლობას. მთელი რიგი იმ აუცილებელი ზომისა, რომელნიც საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკის სოციალისტურმა მთავრობამ მიიღო და საბჭომ დაადასტურა წარმოადგენს ასეთს კომპრომისებს. ამ მოვლენას სოციალიზმის მოწინააღმდეგენი სიხარულით და განგაშით აღნიშნავენ ხოლმე და ვითომ სოციალისტურ იდეების გაკოტრებას დღესასწაულობენ და თვით სოციალისტებს კი იგი მწარე გულის ტკივილს გვრის. მაგრამ ჩვენ იმ იმედითა ვსცხოვრობთ, რომ მალე, ძლიერ მალე უკვე აღარ დაგვჭირდება ეს განსაკუთრებული ზომები, ვინაიდან გავამაგრებთ და განვამტკიცებთ ჩვენს დამოუკიდებლობას, ჩვენს რესპუბლიკას და ეს გულისტკივილი სიხარულად შეგვეცვლება.

მე მაგონდება ძველი საბერძნეთის დიდი ფილოსოფოსი სოკრატი. საწამლავის დალევინების წინ მას ბორკილები ახსნეს. სოკრატმა ხელი მოისვა წვივებზე, დაიქავა, იამა და თავის მოწაფეს უთხრა: ხედავ როგორ გადაბმულია ერთმანეთზე სიმწარე და სიტკბოება? ბორკილები რომ არ მდებოდა, ამ სიამეს ვერ ვიგრძნობდიო და აი ამის მსგავსად ჩვენა გვწამს, რომ მომენტის აუცილებლობისაგან მოყენებული ტკივილები მომავალში ნეტარებად გადაგვექცევა. ძველი წესწყობილების წინააღმდეგ ერთ უძლიერეს იარაღად ჩვენ ისა გვქონდა, რომ მონარქიულ-პოლიციური წესწყობილება ხალხის ფულის უდიდეს ნაწილს პოლიცია-ჟანდარმ-ჯაშუშებს ახმარდა და არა საკულტურო-საგანმანათლებლო საქმეს,

ჩვენ გულისწყრომით ვიხსენიებთ [illegible] მთავრობას როდესაც ქვეყნის [illegible] საოცნებო უმაღლესი ინსტიტუტის ნაცვლად სტრაჟნიკების ინსტიტუტი დაიწესა.

ჩვენ ასეთი ანომალია ჩვენს ცხოვრებაში დღესაც არა სასურველ მოვლენად მიგვაჩნია, მაგრამ ვითვალისწინებთ რა ჩვენი ნორჩი სახელმწიფოს მდგომარეობას, ვიღებთ რა მხედველობაში იმ აუარებელ მტრებს, რომელნიც ძირს უთხრიან ჩვენს რესპუბლიკას, ჩვენ ვ[illegible]ცებთ მთავრობის პროექტს თუ[illegible] ამით საკულტურო-საგანმანათებლო საქმისათვის გაცილებით ნაკლები დაიხარჯოს ვიდრე ადმინისტრაციაზე.

ჩვენ რასაკვირველია, ძლიერ დიდად მიგვაჩნია ის ჯამაგირები, რომელიც ამ პროექტებით ჩვენს ადმინისტრაციას ენიშნება, მაგრამ დარწმუნებულნი ვართ რომ მთავრობა ყოველს ზომებს მიიღებს რათა ამ მაღალს ჯამაგირებს მაღალი ხარისხის მოხელეები და ადმინისტრატორები მოჰყვებიან.

რას წარმოადგენს დღეს ჩვენი ადმინისტრაცია? მე არ შეუდგები მის დახასიათებას; თქვენ გაქვთ საშუალება გაეცნოთ შინაგან საქმეთა მინისტრის ერთ-ერთ კანონპროექტის განმარტებას, სადაც აწერილია ჩვენი მდგომარეობა და დამეთანხმებით, რომ დღეს ჩვენ ადმინისტრაცია არა გვყავს. ამას აშკარად აღიარებს თვით მთავრობა. ასეთი ადმინისტრაცია არა ღირს იმ თანხად, რომელიც მასზე დაიხარჯება, მაგრამ ჩვენ იმედი გვაქვს რომ მთავრობა გააუმჯობესებს მის შემადგენლობას.

ყოველს უფლებრივს სახელმწიფოში ადმინისტრაცია მტკიცედ გარკვეულ უფლებრივს კალაპოტშია ჩაყენებული. სამწუხაროდ ჩვენ ჩვენი ადმინისტრაციისათვის არა გვაქვს ასეთი კანონები. ძველი კანონები, რომლითაც ძველს რეჟიმში ვცხოვრობდით, მით უმეტეს ადმინისტრაციაში დღეს ჩვენ დავეყრდნობით, მაგრამ მოკლეხანში ვერც საკუთარს საპოლიციო კანონმდებლობას გავიჩენთ, ამიტომ აუცილებლად საჭიროა დაევალოს იუსტიციის და შინაგან საქმეთა სამინისტროს შეიმუშაონ დაწვრილებითი ინსტრუქცია ჩვენი ადმინისტრაციის სახელმძღვანელო და აგრეთვე აღნიშნული იქნას ის ელემენტარული უფლებანი ადამიანისა და მოქალაქისა, რომელნიც ხელშეუხებელნი უნდა იყვნენ ადმინისტრაციისაგან.

მაგრამ მთავრობამ დიდი ყურადღება უნდა მიაქციოს იმასაც, რომ განმტკიცდეს მოხელეებში და ადმინისტრაციაში გრძნობა პასუხისმგებლობისა, რომელიც ამ ჟამად ძლიერ სუსტია.

რ. არსენიძე. შენიშვნა, რომ 1919 წლიდან ხაწილი. მილიციის შესანახ ხარჯისა ერობას დაეკისრებაო, უადგილო ადგილას არის შეკვეხებული, ჯერ გამორკვეული არ არის მილიციის შენახვა სავსებით თუ ნაწილობრივ დაეკისრება ერობას და ამიტომ მოვითხოვთ ეს შენიშვნა უარყოფილი იყოს.

საბჭო, ემხრობა არსენიძის წინადადებას.

რ. არსენიძე. რაიონის კომისარს ევალება აგრეთვე რაიონის მილიციის უფროსობაც. ამიტომ შეუძლებელია ერთ და იმავე პირს ორი კანონპროექტით ორჯელ მიეცეს ჯამაგირი. ამის გამო წინადადება შემოგვაქვს, რაკი წინა კანონპროექტით მილიციის უფროსობა რაიონის კომისარს დაეკისრა, ამ კანონპროექტთან დართულ შტატებიდან ამოირიცხოს ის ჯამი, რომელიც განზრახულია მილიციაში სარაიონო მილიციის უფროსებისთვის ჯამაგირად მისაცემად.

რ. ივანიცკი წელან საბჭომ ჩემი წინადადება ზაქათალის ოლქის თაობაზე მიიღო. მის შემდგომ წარმოდგენილ კანონპროექტში და ხარჯთაღრიცხვებში კი არავითარი ხსენება არ არის ამ ოლქის საადმინისტრაციო შტატების შესახებ. ამის გამო მე მინდა გავიგო, კანონი ზაქათალის ოლქში საადმიინისტრაციო თანამდებობებზე მოსამსახურე პირთა ჯამაგირების შესახებ ცალკე, სეპარატიულად გამოიცემა თუ საბჭოსგან მიღებული ჩემი წინადადება უყურადღებოდ იქნება დატოვებული.

საბჭო ორივე შესწორებას უკამათოდ იღებს.

საბჭოს აქვს განსახილველი კიდევ ერთი კანონპროექტი, შინაგან საქმეთა სამინისტროსაგან წარმოდგენილი, იგი შეეხება სოფლის მილიციას.

მომხსენებელი **საბახტარაშვილი.** საოცრად ბევრი საქმეა, რაიცა მილიციას ევალება: ხარჯის აკრეფა, ჯარის შეკრება, კანონპროექტების ცხოვრებაში გატარება. ყველა ეს საქმე საჭიროებს იძულებით ძალას, აპარატს. ასეთ აპარა-

ტად სოფლად დასახელებულია ერთი კომისარი და ხუთი მილიციონერი.

რ. არსენიძე. კანონპროექტში მოხსენებულია. რომ კომისარს ჯამაგირად თვეში ეძლევა 300 მ. ხოლო საკანცელარიოდ 450 მ. რომ გაუგებრობა არ იყოს, უნდა კანონპროექტში აღინიშნოს რომ ეს 450 მ. გადადებულია საკანცელარიო შტატისა და ხარჯებისათვის.

საბჭო შესწორებას იღებს.

მცირე კამათის შემდეგ, რომელიც სწარმოებს იმ საკითხის გამო, არჩევნებით იყოს თუ არა სოფლის კომისრების დანიშვნა. საბჭო კანონპროექტს იღებს იმ სახით, როგორადაც კომისიამ წარუდგინა, რის შემდეგ საბჭოს სხდომა სრულდება.

ახალი ამბავი

◆ **კიევის ცხოვრებიდან.** ქ. კიევში, ქართველ მოქალაქეთა შორის საგანგებოდ არჩეულ კომისიის მიერ „გიორგი ზდანოვიჩის ფონდის“ გასაძლიერებლად, შეგროვილი იყო; 396 მ. 50 კ. ეს ფული გადაეცა ამ. მ. ტყავაძეს დანიშნულებისამებრ გადასაცემად.

◆ **ნიჩბისიდან** (გორის მაზრა) სასოფლო კომისიას ატყობინებენ რომ იქ ვრცელდება ავადმყოფობა. სასოფლო კომისიამ მიიღო ზომები ნიჩბისში ექიმის გასაგზავნად.

◆ **სომხეთის რესპუბლიკის დიპლომატიური წარმომადგენელი,** წარუდგა შინაგან საქმეთა მინისტრს ნ. რამიშვილს და სხვათა შორის განუცხადა- სომხეთის რესპუბლიკამ დამავალა ვიზრუნო ლტოლვილებისთვის და საქართველოში დარჩენილ სომხების ქონებისათვისაო. ბ-მა რამიშვილმა დახმარება აღუთქვა.

◆ **გარნიზონის უფროსმა დაატუსაღა:** ჯარისკაცი ლ. გამცემლიძე უფროსისათვის შეურაცყოფის მიყენებისათვის, პოდპ. ვახტანგ დეკანოზიშვილი. ჯარის კაცი ივ. ბებურიშვილი ხორცის მოპარვისათვის და შტ.-კაპ. ნ. ნოვიკოვი წესიერების დარღვევისათვის.

◆ **პური.** სასურსათო სამინისტრო უკვე შეუთანხმდა ადერბეიჯანში პურის შემოტანის შესახებ. პური ამ დღეებში მოვა და პირველ რიგში გურიის დამშეულ კუთხეებში გაიგზავნება.

◆ **უკრაინელ ვაჭარ-მრეწველთა კავშირი.** დაარსდა უკრ. ვაჭარ-მრეწველთა კავშირი „სპოჟივახი“. კავშირს თავის განკარგულებაში აქვს რამდენიმე ათეული მილიონი მან. კავშირის ორგანიზატორებს განზრახული აქვთ პირველ რიგში ფართოდ მოაწყონ ვაჭრობა პურით, შაქრით და სხვა სანოვაგით, რომელიც უკრაინაში მოიპოვება. კავშირის („სპილკის“) აგენტები ამ დღეებში უკრაინაში მიემგზავრებიან პურის და სხვა სანოვაგის საყიდლად.

◆ **საექიმო საქმე.** ჩვენს რედაქციას მოუვიდა შემდეგი დეპეშა: ქუთაისის გუბერნიის ექიმთა კავშირის წლიურმა კრებამ მოისმინა რა საექიმო საქმის რეორგანიზაციის სხვა და სხვა პროექტი, ერთხმად დაადგინა: რესპუბლიკაში საექიმო-სანიტარული საქმის რეორგანიზაციის ხასიათის გადაწყვეტა უნდა ეკუთვნოდეს რესპუბლიკის ექიმთა ყრილობას, რომლის დაჩქარებით მოწვევის ინიციატივას ითხოვს მედიკ-სანიტარულ საბჭოსაგან, ხოლო ნებართვასა და ხელის შეწყობას მთავრობისაგან.

პრეზიდიუმი.

◆ **ქართულ ტეხნიკურ საზოგადოების კრება.** სამშაბათს, ივლისის 30-ს ფრეილინის ქუჩაზე № 11, საღამოს 8 საათზე ქესდგება ქართულ ტეხნიკურ საზოგადოების კრება, რომელზედაც ინჟ. ვ. კაკაბაძე განაგრძობს თავის მოხსენებას შემდეგ თემაზე: „ქიმიური მრეწველობის განვითარების საკითხი ჩვენში“; შემდეგ გაირჩევა მიმდინარე საკითხები.

◆ **ფალიანის დეპეშა.** დუშეთში თავდაპირველად მომქმედ მთავრობის რაზმის უფროსის ფალიანისაგან რედაქციას მოუვიდა ვრცელი დეპეშა, რომლითაც იგი უარჰყოფს მრავალ ბრალდებას, რომელიც მას და მის რაზმის შესახებ იყო დ. თურდოსპირელის მიერ გაზეთ „ერთობაში“ მოთავსებული.

◆ **სომხების მთავრობა.** ივლისის 19-ს ერევანში ჩავიდა სომხების ერ. საბჭო. იქ უკვე საბოლოოდ შესდგა სომხეთის რესპუბლიკის მთავრობა და ამ დღეებში პარლამენტიც გაიხსნება, სადაც, პროპორციის პრინციპის მიხედვით სხვა ეროვნებათა წარმომადგენლებიც იქნებიან.

◆ **გენ. ანდრანიკი.** ერევნიდან ჩამოსულები გადმოგვცემენ, რომ ხმები იმის შესახებ, ვითომც გენ. ანდრანიკი განჯისკენ მიდიოდეს, სიმართლეს მოკლებულია. ნახეჭევანიდან ანდრანიკმა აცნობა ოთხთა კავშირს, რომ ნახეჭევანი გამოცხადდა რუსთის რესპუბლიკის ნაწილად და ისიც რუსეთის სასარგებლოდ იმოქმედებს.

◆ **ამხანაგობა „შაქარი“** ტფილისში, ქართველთა ერთმა ჯგუფმა დაარსა ამხანაგობა „შაქარი“ 5 მილიონი მანეთის ძირითადი თანხით. ამხანაგობას აზრად აქვს საქართველოში შაქრის წარმოება მოაწყოს. ამ მოკლე ხანში ამხანაგობა ჰგზავნის წარმომადგენელს უკრაინაში ქარხნის მოწყობილების შესაძენად.

◆ **ქართველ გამომცემელთა ამხ.** ამ მოკლე ხანში გადაკეთდება სააქციო საზოგადოებად 5000 0 მან ძირითადი თანხით. საზოგადოების წესდება წარდგენილია დასამტკიცებლად. საზოგადოებას აზრად აქვს გამოსცეს ყოველგვარი წიგნი, ჟურნალ-გაზეთი დააარსოს სტამბა მოაწყოს ქარხანა და სხვა.

საქ. სოც.-ფედ. სარევ. პარტიაში

ხუთშაბათს, 1 აგვისტოს, პარტიულ ბიუროში დანიშნულია საქართველოს რკინის გზების მუშა-მოსამსახურეთა სოც.-ფედ. პარტიის წევრთა საწრაფო შეერთებული კრება. განსახილველია ფრიად მნიშვნელოვანი საკითხები, მოხსენებანი ცენტრალურ კოლექტივისა და ადგილებიდან.

დასაწყისი საღამოს სრულ 6 საათზე (ახალი დროით).

საქართველოს რკინის გზის მუშა მოსამსახურეთა სოც.-ფედერ. წევრთა ცენტრალური კოლექტივი სთხოვს შტატების შემცირების გამო სამსახურიდან დათხოვნილ ამხანაგებს, მიაწოდოს მას ცნობები როგორც თავისი ვინაობის შესახებ, აგრეთვე რა დარგში მუშაობდა. როდის და რა მუხლის ძალით იქნა სამსახურიდან დათხოვნილი და თავისი მისამართი ცნობები საჭიროა მიემართოს გ. ანანიაშვილს საპენსიო კასა მიხეილის ქ., ან ვ. პაატაშვილს (კახეთის რკინის გზის სამმართველო). სასურველია ცნობების მიცემ პირადად.

ოთხშაბათს, ივლისის 31. პარტიულ კლუბში შესდგება მორიგი კრება. წაკითხულ იქნება მოხსენება, რის შემდეგაც გაიმართება აზრთა გაზიარება და კამათი კრების დასაწყისი სალ. 8 საათზე (ახ. დროით.)

პარლამენტის გარშემო

კვირას, ივლისის 28-ს ახალციხიდან ჩამოსულმა ამხანაგმა სოც. ფედერალისტთა ფრაქციაში წაიკითხა მოხსენება ახალციხის მაზრის მდგომარეობის თაობაზე ოსმალების შემოსვლამდე და მას შემდეგ მომხსენებელმა საჭიროდ სცნო საქართველოს რესპუბლიკის მთავრობამ დიდი ყურადღება მიაქციოს იქაურ ქართველობის მდგომარეობას და მიიღოს ზომები, რომ 1. თავს იდოს რაბათის ქართული სკოლა და ამით გადაარჩინოს დაკეტვას, რასაც ემუქრება ოსმალოს მთავრობა 2, საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის წარმომადგენლად დაინიშნოს ადგილობრივ პირობების მცოდნე გავლენიანი პირი; 3. აყრილ გლეხებს მიეცეს საშუალება დაუბრუნდნენ სახლებს და მიხედონ პირნახულს. 4, შეჩერებულ იქნას ახალციხიდა ქართველობის გადმოსახლება, ვიდრე საბოლოოდ არ გამოირკვეოდეს ახალციხ-ახალქალაქის მაზრების ბედი: 5. გაადვილდეს მიმოსვლა და ფოსტა-ტელეგრაფის მუშაობა ბორჯომ-ტფილისთან; 6. ახალციხის მაზრის ქართველობისთვის მთავრობამ გამოითხოვოს ისეთივე უფლებანი, როგორიც მინიჭებული აქვთ მაჰმადიანებს საქართველოს რესპუბლიკაში; 7 თუ ახალციხე დაუბრუნდა საქართველოს მიღებული იქნას ზომები, რომ ოსმალებმა გასვლისას არ აახრონ მაზრა; 8. მოხდეს შაქრისა და ნავთის გაცვლა პურსა და ერბო-ყველში, რაც იქ იაფია (პური ფუთი ღირს 25—30, ყველი გირვ. ერთი მანეთი და ერბო 4-მანეთი).

მიზანს მიაღწიეს

(ბეჭდვითი საქმის პროფ. კავშირის ივლისის 28 კრების გამო).

ივლისის 28 ისტორიულ დღედ ჩაითვლება ჩვენი ქვეყნის პროფ. კავშირთა ცხოვრებაში. ამ დღეს ნიღაბი ჩამოიხადეს ჩვენი კავშირის ხელმძღვანელ ორგანოებში მოკალათებულმა ცრუ-ინტერნაციონალისტებმა და ჩვენს წინაშე წარმოსდგნენ როგორც ჩვეულებრივი სახისა დ ყალიბის რუსიფიკატორები, სოციალისტის სამოსელში გახვეული ურაპატრიოტები და ამით გამოიწვიეს კავშირის გაყოფა, კავშირის დაშლა.

მკითხველმა საზოგადოებამ კარგად იცის რაში იყო საქმე, იცის რა იყო ქართველ მუშების მოთხოვნილება... ისინი მოითხოვდნენ, რომ კავშირში ქართულ ენას რუსული ენის ადგილი დაეჭირა, ე. ი. საქმის წარმოება ქართულ ენაზე ყოფილიყო რუსულის ნაცვლად და ამასთან რუსულსა და სომხურ ენასაც ჰქონოდა შესაფერი ადგილი. ყოველი დემოკრატი, ყოველი სოციალისტი სიამოვნებით უნდა შეგებებოდა ქართველ მუშების ამ სამართლიან მოთხოვნილებას და უმალვე დაეკმაყოფილებინა ის, მაგრამ თვითმპყრობელობის რუსიფიკატორულ სკოლაში აღზრდილმა შოვინისტებმა კავშირის ინტერესები ანაცვალეს თავიანთ შოვინისტურ ინტერესებს, რუსული ენის პრივილეგიას ვერ შეელიეს და ამით კავშირის საქმე დაღუპეს.

ივლისის 28 კრება ბევრს რასმეს გვასწავლის ქართველ მუშებს. ამ დღეს მივხვდით და გავიგეთ, რომ თუ ასი წლის განმავლობაში რუსის ბიუროკრატიული მთავრობა ყოველნაირად სდევნიდა და ავიწროებდა ქართველ ენას, თუ თვითმპყრობელობის აგენტებმა განდევნეს ის სკოლიდან, ეკლესიიდან, სახელმწიფო და საზოგადო დაწესებულებებიდან, რუსისა და სომხის „ინტერნაციონალისტები“ ამითაც არ დაკმაყოფილდნენ და ქართული ენა გამოდევნეს პროფესიონალურ კავშირიდანაც და საზოგადო კრებაზე მოინდომეს ამ განდევნის პოლიტიკის დაკანონებაც. მთელი ბრძოლა ივლისის 28 კრებაზე იმის გარშემო სწარმოებდა რომ ქართულ ენას სამართლიანად მოქცეოდნენ, ეცნოთ მისი უფლება, მარა მოწინააღმდეგენი პროვოკატორი ინოზემცევისა, საფიცი „სოციალისტების“ ივანოვისა და პუგაჩოვისა და ბოლშევიკ ბერგმანისა დ ბოლქვაძის მეთაურობით სასტიკ კონტრშეტევას აწარმოებდნენ ქართველი მუშების წინააღმდეგ; თავმჯდომარე ბერგმანი ძალადობას ხო ერიდებოდა და პირში ბურთსა სჩრიდა ქართველ მუშებს, ჩვენს ორატორებს უსპობდა საშვალებას პირად საკითხზე ლაპარაკისას და იქამდისაც კი მივიდნენ, რომ როცა ჩვენ მოვითხოვეთ პროვოკატორ ინოზემცევის კრებიდან გაძევება, შავკვითელი ბლოკი ღრიალით გამოექომაგა ჩირსულ წინამძღოლს და ორივე ხელებით დაებღაუჭა, რომ ინოზემცევი კრებაზე დარჩენილიყო და როცა ეს ვერ მოახერხეს და ინოზემცევი კრებიდან გავაგდეთ, იმდენი მაინც ქნეს რომ ინოზემცევის ვინაობის გამოსარკვევად არჩეულ კომისიაში ყველა მისი დამქაშები გაიყვანეს (ნეტა რაღა გამორკვევა სჭირია ინოზემცევის ვინაობას, როცა მას მთელი ტფილისი იცნობს!) არყითა დ ღვინით გალეშილი მარტის „სოციალისტები“ მთელი კრების განმავლობაში ძალუმად ღრიალებდნენ და საშუალებას უსპობდნენ ჩვენს ორატორებს აზრის გამოთქმისას. ერთი მათგანი იმდენად მთვრალი იყო, რომ ტანთ გაიხადა და გაშიშვლებული მკლავებით ემუქრებოდა ჩვენს ამხანაგებს. ყველა ამას კარგად ხედავდა თავმჯდომარე ბერგმანი, მაგრამ არავითარ ზომას არ იღებდა წესიერების აღსადგენად. ასეთ მდგომარეობაში, როდესაც ქართველების წინააღმდეგ დაირაზმნენ რუსისა დ სომხის შოვინისტები და გამცემელი ქართველები, ჩვენთვის ძნელი იყო ჩვენი მოთხოვნილების საზოგადო კრებაზე გაყვანა და ამისთვის არც ვეწადებოდით, ჩვენ მხოლოდ ჩვენს მიზანს ვამცნობდით საზოგადო კრებას, მაგრამ შავკვითელმა ბლოკმა ვეღარ მოითმინა მან მოინდომა შემთხვევით უმრავლესობის სავსებით გამოყენება, რომ ჩვენი სურვილები და სამართლიანი მოთხოვნილება სამუდამოდ დაემარხათ და მსჯელობის ბოლოს წარმოადგინეს რეზოლიუცია რომელიც ადასტურებდა რუსულ ენის მეუფებას და ქართველ მუშებს გაკიცხვას გვიცხადებდა—ქართულ ენას როგორ გამოექომაგეთო. ჩვენ გავაფრთხილეთ კრება, თუ ისინი ასეთ რეზოლიუციას არ მოხსნიდენ, ჩვენთვის შეუძლებელი იქნებოდა შემდეგში მათთან ერთად მუშაობა და როცა ჩვენს განცხადებას პრეზიდიუმმა ყურადღება არ მიაქცია, ჩვენ კრება დავსტოვეთ. დავსტოვეთ და საკვირველი ის იყო, რომ ჩვენ გამოგვყვა კრების უმრავლესობა. გამოირკვა, რომ ვინაიდან კრება მეტად გაგრძელდა (საღამოს 5 საათამდე) მთვრალები მეტად დაღლილიყვნენ, თითო-თითოდ კრება დაეტოვებიათ, ბაღში გამოსულიყვნენ და ტკბილად ჩასძინებოდათ.. ასე რომ უკანასკნელ წუთებში დარჩენილთა უმრავლესობას ჩვენები შეადგენდნენ და როცა ქართველმა მუშებმა კრება დასტოვეს, პრეზიდიუმის წინ ცარიელი სკამებიღა იყო ჩამწკრივებული.

აი, ასე მიაღწიეს მიზანს ჩვენმა მოწინააღმდეგებმა!.. აი ასე გვებრძვიან ისინი, რომელნიც სიტყვით უკიდურესი ინტერნაციონალისტები არიან, საქმით კი უკიდურესი შოვინისტები, რომელნიც ვერ შურიგებიან საქართველოს რესპუბლიკას, ქართულ სახელმწიფოებრივობას, ქართულ ენას და მზად არიან ეშმაკსაც კი შეუკავშირდნენ, ოღონდ საქართველოსა და ქართულ საქმეს ზიანი მიაყენონ...

და 28 მაისის კრებაზე მიაღწიეს თავიანთ მიზანს—ქართული ენა ისევ გერად გამოაცხადეს.—რა უყოთ, რომ ამით კავშირის დაშლა გამოიწვიეს:—ჩვენს შემდეგ თუნდ ქვა-ქვაზე ნუ იქნება—ამბობენ.

ამას ჩვენ დავიხსომებთ. გვეცოდინება მაინც ვინ არის ჩვენი მტერი და ვინ მოყვარე...

ე. ტო—ძე.

სახალხო გვარდია.

ამ წერილით არ მსურს გავილაშქრო სახალხო გვარდიის წინააღმდეგ. მსურს მხოლოდ მივუთითო მის ნაკლს. პირადად მე მომხრე ვარ პრინციპიალურად გვარდიისა მხოლოდ მახსოვს ანდაზა: „მოყვარეს პირში უძრახე, მტერს პირს უკახო“

ეს რამდენიმე ხანია, რაც სისტემატიურად მიხდება, მოქმედება სხვა და სხვა სახალხო გვარდიის ნაწილებთან და ამ ხნის განმავლობაში დავრწმუნდი, რომ ერთად ერთი უმთავრესი დადებითი მხარე მისი არის მთავრობის ერთგულება; სახალხო გვარდია არასოდეს არ უღალატებს მას, ის არასოდეს არ გაბოლშევიკდება და არ გარეაქციონერდება. ამ მხრით მთავრობა არ არის მოტყუილებული, რომ მას ეყრდნობა და მისი შედარება რეგულიარულ ჩვენ ჯართან, რომელიც ყოველ გაჭირვების დროს ბოლშევიკდება, შეუძლებელია. ეს სწორედ სახალხო გვარდიის მორალური მხარეა და ეს რომ ასეა არ არის გასაკვირი, ვინაიდან ის შესდგება შეგნებულ პარტიულ ამხანაგებისაგან; მაგრამ საქმე ის არის, რომ მარტო კარგი პარტიის წევრობა თურმე როდი ყოფილა საკმარისი კარგი ჯარისკაცობისთვის. მე აქ შევეხები მათ, როგორც ჯარისკაცებს და როგორც ჯარის ნაწილს. სამხედრო ოპერაციების უნარის მქონს. ვეხები და ვაქცევ ყურადღებას, რადგან სახალხო გვარდია არის ორგანიზაციული ნაწილი რომლის ხელშიაც იმყოფება კარგი ნაწილი ჩვენი სამშობლოს აწმყო მომავლისა.

ყოველი გვარდიელი არის ბატონი და მასთან „კომანდირიც“, ბევრი კაპრიზების მქონე, უფროსებმა ვაი და უჩუმ უნდა ეფეროს და არაფერი აწყენინოს. ეს ასეა, რადგან გვარდიაში არ არსებობს სრულიად მხედრული დისციპლინა პარტიული დისციპლინა შეიძლება არსებობდეს, მაგრამ ეს მე ვერც ვიგრძენი სავსებით და ვერც შევამჩნიე. ყოველი გვარდიელი პარტიული ამხანაგია, მასთან ქართველი. ამიტომ უყვართ პოლიტიკოსობა და პირველობა და ვინაიდან დისციპლინა არ არსებობს ეს განსაკუთრებულად აშკარად არის წამოჭრილი, რაც სამხედრო საქმეს აფერხებს და ნაწილს ძალზე ასუსტებს. ამით აიხსნება ის გარემოება, რომ ყოველმა გვარდიელმა, უსათუოდ ყველაფერი უნდა იცოდეს, მას აქვს პრეტენზია რომ მისი აზრი სხვის და ხშირად უფროსის აზრს სჯობია და წყრება როდესაც არ ეკითხებიან. რაც თვით გვარდიელებს არ მოეწონებათ, არასოდეს ისეთ ბრძანებას არ შეასრულებენ, როგორი ხასიათისაც უნდა იყოს ბრძანება, ოპერაციონული თუ ოჯახური. უკიდურეს შემთხვევაში, როდესაც გასაქანი არ არის, მაშინ მაინც წაიბუტბუტებენ და შემდეგ ასრულებენ. მაგალითად ხშირად უთქვამს მათ ოფიცრებს ჩემთვის; როდესაც ითხოვებოდა ბრძანების მალე ასრულება: „აცადეთ ბატონო, ხომ იცით გვარდიელები არიან 15 წუთი მაინც უნდა წაიბუტბუტონ და შემდეგ წამოვლენო“. ხშირად მართლა წამოვიდოდნენ, ხშირად კი არა. ყველაფერი დამოკიდებულია მის კეთილსინდისზე და სურვილზე და რასაკვირველია ეს უკვე საკმაო მიზეზები ჯარისათვის ბრძოლის დროს არ არის საკმარისი. სამხედრო ნაწილი მაშინ არის, სამხედრო ნაწილი, როდესაც მასში მეფობს ერთი ნება, და ეს ნება სრულდება უსიტყვოდ, უყოყმანოდ.

სუყველაფერი ეს მარტო გვარდიელის ბრალიც არ არის, რადგან მისი შევსება ცუდად არის დაყენებული. გვარდიაში არ არის მუდმივი ელემენტი გარდა პატარა ჯგუფისა, ყოველ კამპანიისთვის კრებენ ხალხს, უმრავლესობას ისეთს, რომლებსაც არასოდეს ხელში თოფი არ სჭერია და არ უყნოსავს წამლის სუნი. მათ გაჭირვების დროს აგონდებათ ოჯახი და მიუჩვეველნი ამას, იდეალად ესახავენ გადარჩენას და შინ ჩქარა დაბრუნებას.

სამხედრო გაჭირვების ატანა მათ არ შეუძლიანთ, რადგან არ არიან გაწრთვნილნი და მიჩვეულნი [illegible] სურთ ატანა, რადგან ვიმეორებ, [illegible] ეშინიათ. [illegible] ვე ჰბადებს სურსათ-ტანსაცმლის [illegible] ხარჯს. ძნელია მისი გამორკვევა თუ ვინ რა მიიღო და კიდევ რა ეკუთვნის და ან რა ჰქონდა მიღებული. ასეთ პირობებში რასაკვირველია ჩვენი ისედაც ღარიბი საინტენდანტო მას ვერ გაუძლებს.

ზემო ჩამოთვლილ მხარეების და თვისებების არსებობის გამო მე ვერ ჩავთვლი მას ჯარის ნაწილად. რომ არ მივაქციოთ ყურადღება წვრილმანებს მე უმთავრეს ჯარის ნაწილის დამახასიათებელ პირობად მიმაჩნია დაუყონებლივი, უყოყმანო ყოველნაირი ხასიათის ოპერაციონურ ბრძანების ასრულება. სწორედ ეს პირობა სუსტობს სახალხო გვარდიაში და ამიტომ ამას უნდა მიექცეს ყურადღება ახლავე უნდა მოხდეს მისი რეორგანიზაცია ძირიდან. ამის დასამტკიცებელი მაგალითების მოყვანა ბევრი შეიძლება: ერთ ბრძოლაში ბრძანება იყო, რომ ნაწილი სახალხო გვარდიისა გასულიყო გაღმა წყალში, მაგრამ ეს მას არ მოისურვა და არ აასრულა, რისი შედეგი იყო საღამომდის ბრძოლის გაჭიანურება და ზედმეტი მსხვერპლი. ერთი შემთხვევაც ასეთი იყო: დაიწყეს მიტინგობა, [illegible] ამ დროს შემთხვევით [illegible] ჯგუფელი, რომელიც პირადად გადავიდა წყალში, მას მიჰყვნენ [illegible] და ზოგი მაინც ცხენებს ითხოვდა. გავიდნენ და დაიჭირეს [illegible], მაგრამ შემდეგ თავის ნებით მოიხსნენ და იქავ წყალში ფეხ გაუხდელი გამოცურეს და [illegible] კარზე.

ღირსშესანიშნავია ისიც, რომ ოფიცერთა შემადგენლობა ძლიერ სუსტობს და აგრეთვე ძლიერ ცოტაა.

ორგანიზაცია გვარდიისა ყოველ კანონს გარეშე სდგას: ის არ არის სამხედრო ერთეულებად სწორად დაყოფილი და არ ჰყავს არც ბატალიონის უფროსი, არც პოლკის, არც რაზმის უფროსის უფლებები საქმეს. როტები შესდგება რაიონებისაგან და [illegible] ის რაიონი, რომელიც უფრო [illegible] რიცხოვანია, [illegible]. მაგალითად პირველი როტა შესდგება 40 კაცისაგან მეორე კი 300. ეს ახდენს უხერხულობას განსაკუთრებით სამხედრო ოპერაციების ასრულების დროს, ვინაიდან [illegible] ბრძოლის დროს ნაწილების ურევ-დარევას, რაც სამხედრო თვალთახედვით ითვლება ყველაზე მეტ დანაშაულად. რაზმის უფროსს [illegible] საქმე, რადგან მას აქვს დამოკიდებულება [illegible] უფროსს [illegible]. [illegible]: „ერთ უფროსს შეუძლია იქონიოს დამოკიდებულება სამ ან ოთხ უფროსს [illegible]“ ამიტომ არის, ყოველი სამხედრო ერთეული შესდგება [illegible] სამ შემადგენელ ერთეულისაგან.

სახალხო გვარდიის შტაბიც კანონ გარეშე სდგას. ის კოლეგიურია და შესდგება ერთეულების წარმომადგენლებიდან. აქ რაზმის უფროსის პირობები იქარწყლება, მას ავალებენ ოპერაციის ასრულებას, ხშირად შეიძლება ისეთს და იმ წესით და რეცეპტით, რომელიც მას არ სურს არც იცნობს და ვერც განიცდის თავის არსებით, ეს უკანასკნელი კი უსაჭიროესი პირობა და მოთხოვნილება უფროსისათვის, რომ გაიმარჯვოს სამხედრო ისტორიაში ჩვენ ვიცით მაგალითი, როდესაც დაავალეს ნაპოლეონს სხვა გენერლის შემუშავებულ პლანით ბრძოლის წარმოება, მან განაცხადა, ამ პლანით ის გენერალი ჩემზე უკეთ შეასრულებს, მე კი დავმარცხდებიო.

სამხედრო გამოცდილებამ მიაღებია სამხედრო მეცნიერებას, რომ სარდალს უნდა ეძლეოდეს საერთო დირექტივები. შემდეგ მისი შესრულება მხოლოდ მისი საქმე უნდა იყოს, ასე რომ არ იყოს არც ერთ ცოტად თუ ბევრად ნიჭიერი, მხედარი არ იქნებოდა ქვეყანაზე და გენიოსიც არა საჭირო ბარგი ყოფილა.

შტაბის უმფროსი ადგენს პროექტს ბრძოლისას და სარდალი მას ღებულობს ან არ ღებულობს.

მხოლოდ მაშინ იქნება სახალხო გვარდია მთავრობისათვის დასანდობი, თუ ის იქნება მუდმივი ჯარის კაცებისაგან შემდგარი და არ იქნება სასტუმრო, თუ შეეცდებიან სამხედრო დისციპლინის შემოღებას, თუმცა ეს შეიძლება არა დემოკრატიული იქნეს, მაგრამ უნდა ახსოვდეს რომ ეს დემოკრატიისათვის უფრო სასარგებლო იქნება. კარგი და საკმარისი რიცხვი ოფიცერთა და უნტერ-ოფიცერთა კადრი თვალსაჩინოთ შეცვლის ეხლანდელ გვარდიის სახეს.

დასასრულ ვუსურვებ მას ამ გზაზე ნაყოფიერ მუშაობას, გაძლიერებას და მით ჩვენ შინაურ ცხოვრების მყუდროებას და გარეგან საფრთხისაგან უზრუნველ-ყოფას.

კაპიტანი გ. ქუთ—ძე.

ბაქოში

ბაქოში მცხოვრებ ქართველების მრავალრიცხოვანმა კრებამ, ეროვნულ საბჭოს მიერ მოწვეულმა ივნისის 30-ს ქართულ სკოლაში, მოისმინა რა მოხსენებანი ბაქოს ეროვნულ საბჭოს დაარსებაზე, ჩვენი ქვეყნის თანამედროვე მდგომარეობაზე და ბაქოელ ქართველების

საჭიროებათათვის საყოველთაო გადასახადის დაწესებაზე, დაადგინა:

1. კრება აუცილებელ საჭიროებად სცნობს ეროვნულ საბჭოს არსებობას ბაქოში: ეროვნული საბჭო არის ორგანო საქართველოს რესპუბლიკის საბჭოსი, ამიტომ მან უნდა იზრუნოს ბაქოში მცხოვრებ ქართველების საერთო საჭიროებებზე, დააკმაყოფილოს მისი კულტურული მოთხოვნილებანი, დახმარება აღმოუჩინოს გაჭირვებაში ჩავარდნილ ჩვენს მოძმეებს და საერთოდ მეთაურობა და წინამძღოლობა გაუწიოს თავის ქვეყანას მოწყვეტილ ქართველობას.

2. კრება სავსებით ემხრობა ბაქოს ეროვნულ საბჭოს მიერ მიღებულ რეზოლიუციას საქართველოს დამოუკიდებლობის შესახებ: კრება ადასტურებს, რომ ქართველ დემოკრატიის მიერ გადადგმული ნაბიჯი თანამედროვე ვითარებასა და ძალთა განწყობილებაში ერთად-ერთი საშუალება იყო ქართველების გადასარჩენად და რევოლიუციის მონაპოვართა შესანარჩუნებლად, და რომ ეს ნაბიჯი არავის წინააღმდეგ მტრობას და მოღალატეობას არ შეიცავს; ამიტომ ყველა ის ხმები და მითქმა-მოთქმა, რომელიც ყოველ დღე გვესმის ქართველ დემოკრატიის ვითომდა მოღალატეობაზე, კრებას მიაჩნია ქართველი ერის და საქართველოს თავისუფლების წინააღმდეგ მიმართულ პროვოკაციად; კრება ყოველი ქართველის მოვალეობად სთვლის მთელი თავისი ძალღონე მოახმაროს საქართველოს რესპუბლიკის და ქართველი ხალხის თავისუფლების დაცვა განმტკიცებას.

3. კრება ადასტურებს ეროვნულ საბჭოს დადგენილებას ბაქოში საყოველთაო, სავალდებულო შემოსავლის პრინციპზე დამყარებულ პროგრესიულ გადასახადის დაწესების შესახებ და სურვილს გამოსთქვამს, რომ საბჭო რაც შეიძლება მალე შეუდგეს ამ გადასახადის გაწერას და აკრებას რათა საშუალება მიეცეს დააკმაყოფილოს ბაქოელ ქართველების მრავალი საჭიროებანი.

ლტოლვილები

სიღნაღის მაზრაში.

დიდ ისტორიულ ხანას განიცდის თავისუფალი საქართველო. საიდან არ ვინდათ მის დამოუკიდებლობის წინააღმდეგ მახვილი არ იყოს მომართული და მის ნორჩ რესპუბლიკას განიავებას არ უპირებდნენ. გვმტრობენ: რუსები, სომხები, ოსები და მათში აქა-იქ არეული ავაზაკი გახულიგანებული ქართველები. ყველაზე მეტად საკვირველია ის, რომ ჩვენს მტრებს გვერდს უმშვენებენ სომხები, ის სომხები, რომლებიც ცხოვრებიდან დევნილნი, გუდა-ნაბად აკიდებულნი, ჩვენს თავისუფალ ქვეყნისაკენ მოეშურებიან და შეელა-დახმარებას გვემუდარებიან. უმგვანო პოლიტიკოსმა მესვეურებმა ერი დაღუპვის პირად მიიყვანეს და ეხლაც ცდილობენ სრულიად ხრამში გადასჩეხონ.

როგორც ამას წინად ატყობინებდნენ სომხების ეროვნულ საბჭოს, შირაქის მხრიდან კახეთს 40000 ლტოლვილი მოაწყდა. თათრებიდან განაწამებნი, მშიერ მწყურვალნი, უმეტესად შეიარაღებული სომხები თუქურმიშის რაიონს მოაწყდნენ. სიღნაღის სამაზრო მთავრობამ ზომები მიიღო არ შემოსულიყვნენ. აჰყარა მათ აუარებელი იარაღი. სომხ[illegible] დელეგაციის პირით ითხოვეს, რომ ისინი ერთ გირვანქა პურს არ იყიდიდნენ კახეთში, მაგრამ ჩუმად გაგზავნილ დეპეშით გამოირკვა, რომ მათ აგენტები ჰყოლოდათ სოფლებში გაგზავნილი მთელი პურის შესასყიდად თუმცა მთავრობამ ზომები მიიღო მათ შესაჩერებლად, მაგრამ ამაოდ; ძვირად არის ისეთი სოფელი ლტოლვილები არ იყვნენ. თვით ქალაქ სიღნაღში ნახევარზე მეტ მცხოვრებლებს ლტოლვილი სომხები შეადგენენ. ამან გამოიწვია ყველაფრის სიძვირე; მიუხედავად საუკეთესო მოსავლისა— ხორბალი, შედარებით სრულიად არ გაიაფებულა და იმედია უფრო გაძვირდეს, რადგან ტლიანდ იშოვონ და გამოქცეულებს ფულები საკმაოდ ხელს უწყობენ ფასს არ დაერიდონ! უკვე მათ შემოსავალს მრავალი ავადმყოფობა მოსდევს. სამაზრო მთავრობიდან, რაიონის და სოფლის კომისრებს, თუმცა სასტიკი ბრძანება აქვთ არც ერთ სოფელში ლტოლვილნი არ იყოლიონ, მაგრამ ეტყობა უკანასკნელნი, ზოგიერთაგან, „ჯიბის« თუ სხვა ინტერესისა—გამო, გვერდს უხვევენ ასეთ ბრძანებას! ამას უნდა დაურთოთ ჩვენ და სამწუხაროდ და სავალალოდ ისიც, რომ ლტოლვილებში გამოერევიან ისეთი ელემენტებიც, რომლებიც პროვოკაციას, აგიტაციას ეწევიან სოფლებში საქართველოს რესპუბლიკის წინააღმდეგ და თუ დროზე შესაფერი ყურადღება, ზომები არ იქმნა მიღებული, შესაძლებელია გარევნად, ის მაინც წყნარი, მშვიდობიანი სიღნაღის მაზრა ანარქიის ქსელში გაება.

იოლა.

რა მოხდა?

(ერთი კავშირის დაარსების გამო)

ამას წინად გაზეთ „ერთობაში" იყო მოწოდება ქართვ. სოც.-დემ საექიმო პერსონალისადმი. ინიციატორები მოუწოდებდნენ ამხანაგებს დაეარსებინათ საზოგადოება საქართველოში ჯანმრთელობის და სანიტარიის საქმის მოსაწყობად. ამის გამო დამფუძნებელი კრებაც შესდგა ივლისის 21 დღიურ წესრიგში იყო შემდეგი საკითხები: ა) საჭიროება პარტიულ საექიმო პერსონალის კავშირის დაარსებისა, ბ) მიზანი ამ საზოგადოებისა, გ) ორგანიზაციის მოწყობა.

როდესაც ამას გავაცანი, ჩემს განცვიფრებას საზღვარი არა ჰქონდა, ვერ წარმომედგინა, რომ დღეს, როცა გაერთიანება ასე საჭირო, ქართ. ექიმებში იყვნენ ისეთი პირნი, რომელნიც გათიშვისაკენ წარმართავდნენ თავიანთ გულისყურს და რაღაც პარტიის მსგავს ორგანიზაციის დაარსებაში დაქსაქსავდნენ თავიანთ ძალას და უნარს. ასეთი მოქმედება განსაკუთრებით საზარალოა ამისთანა საქმისათვის, როგორიცაა საქართველოს ჯანმრთელობის და სანიტარიის მოწყობა საერთოდ და კერძოდ ხოლერასთან ბრძოლა, ეს საქმე ხომ ყველა ძალების შეერთებას მოითხოვს და არა დაქსაქსვას.

საქართველოს დედა ქალაქ ტფილისში არსებობს ქართვ. ექიმთა და ბუნებისმეტყველთა საზოგადოება რომელიც ემსახურება არა მარტო მეცნიერულ მიზნებს, არამედ დღიურ პროგრამით გამოწვეულ საკითხებსაც დიდ ყურადღებასაც აქცევს. და კერძოდ ეხლა ხოლერასთან საბრძოლველ ზომებს ენერგიულად იღებს. აქვე არსებობს კავკასიის მკურნალთა საზოგადოება, რომელსაც არა ნაკლები პატივისცემა აქვს დამსახურებული ფართე საზოგადოებისა. სწორედ ამ საზოგადოებამ, რომელსაც სათანადო მომზადება და გამოცდილება აქვს ხოლერასთან ბრძოლაში, უკვე გადასდგა შესაფერი ნაბიჯი ხოლერასთან საბრძოლველად. და აი, ამ ნერვიულ მუშაობის დროს რამოდენიმე პირის თაოსნობით არსდება რაღაც საზოგადოება პარტიულ თანამოაზრეთაგან შემდგარი. რაშია საქმე, რა მოხდა?

რა საჭიროება მოითხოვს ასეთ ცალკერძო საზოგადოების დაარსებას? იქნებ ზემოხსენებულ საზოგადოებებს არ შესწევთ ძალა ხოლერასთან შებრძოლებისა და ამისათვის საჭირო გახდა სხვა და სხვა სნეულებების პარტიული თვალსაზრისით შებრძოლება?

არა, ბატონებო, ეს ასე არ უნდა იყოს. ქართ. ექ. საზ. ამას წინად მოისმინა ექ. ვირსალაძის მოხსენება, თუ როგორ უნდა მოეწყოს ჯანმრთელობის და სანიტარიის საქმე საქართველოში. საზოგადოებამ რამოდენიმე კრება მოანდომა ამ საკითხს და დაბოლოს მიიღო იგი. ყველა ამის შემდეგ ეს ახლად დაარსებული საზოგადოება კვლავ ეხება ამავე საკითხ და ალბად უახლოეს კრებაზე გაარჩევს კიდეც. ეს კი დარღვევაა ერთგვარი ეთიკისა იმ საზოგადოების მიმართ, რომლის წევრ და ზოგიერთი მათგანი ითვლება კიდეც. გადაათვალიერეთ კრების წესრიგი და ექ. ნ. რუხაძის მოხსენება და დაინახავთ, რომ სოც.-დემ. პარტიის ცხოვრების მსვლელობამ დააკისრა ძველი მმართველობის აპარატის დანგრევასთან ერთად ახალის აშენებაც და რაკი აღმშენებლობა თხოულობს დიდ შრომას და სპეციალისტებს, ამისათვის მათი პარტია უნდა ჩაერიოს საქმეში, თითქოს ამ ახლად დაარსებულ პარტიულ საზოგადოებაში, იყოს ბევრი ისეთი სპეციალისტი, რომელსაც შეუძლიათ არამც თუ ხოლერასთან ბრძოლა, არამედ ძველი მმართველობის დანგრევასთან ერთად ახლის აშენებაც.

ექ. ნ. რუხაძის მოხსენების მიხედვით საჭირო ყოფილა მჭიდრო კავშირის დაარსებაც. საკვირველი კია ეს პარტიული პროფესიონალური კავშირია თუ კავშირი ორგანიზაციულად მოწყობა და დარაზმვა საჭიროა იმისთვის, რომ მიზნად ხოლერასთან ბრძოლაა დასახული?

მიზანი კი ამ კავშირისა აშკარაა და თითონაც აღიარებენ, რომ მათი მიზანია ძველის ნგრევა და ახლის შენება, რის გამო აუცილებელ საჭიროებას მოითხოვდეს საექიმო პერსონალის ს. დ. პარტიულ ჯგუფში მოყოლებას.

ჯგუფობრივ პროფესიონალურ კავშირსაზოგადოებათა დაარსება საჭირო არაა. ის გათიშვას გამოიწვევს. ჩვენ კი შემოქმედებითი ძალა არც ისე ჭარბად გვაქვს, ამისთანა გაჭირვებულ და პასუხსაგებ მომენტში კიდევ მისი დაქსაქსვა მოვინდომოთ. ჩვენი წრფელი ზრახვა და სურვილია: შევერთდეთ ქართველი ექიმები და ამიტომ არსებული საზოგადოება ქართველ ექიმებისა მოვალეა ამ გარემოებას მიაქციოს სათანადო ყურადღება და ბოლო მოუღოს ამისთანა გაუგებრობას. ამას მოითხოვს საზოგადოების ინტერესი და ჩვენი ხალხის კეთილდღეობა.

ექ. ზ. მაისურაძე.

რუსეთი

პურის საძებრად. ტვერის ახლოს, რჟევის მაზრის გლეხები განსაკუთრებით ფრონტიდან დაბრუნებულნი იარაღით გამოვიდნენ სასურსათო მორეკვიზიციო რაზმის წინააღმდეგ, რომელიც თვითონაც შეიარაღებული იყო. გლეხებმა მათ იარაღი აჰყარეს. დაჭრილია 7 კაცი.

სუხონინის ვოლოსტში გლეხებმა სცემეს პურისთვის მოსულ წითელარმიელებს. გლეხებს გადაუწყვეტნიათ არავინ მიუშვან და გარშემო თხრილები გაუკეთებიათ. გლეხები საბრძოლველად ემზადებიან.

საზოგადოდ მრავალ ადგილას ხდება ასეთი ამბები.

კუტლერის დაპატიმრება. ივნისის 23 საკუთარ ბინაზე დააპატიმრეს მრეწველთა გაერთიანებულ საბჭოს თავმჯდომარე კუტლერი. მას დანაშაულად უთვლიან იმას, რომ ერთ-ერთ ზარათში ცუდად მოიხსენია ბრესტის ხელშეკრულება: ჩვენი მრეწველებისათვის ძლიერ საზარალოა.

ნაციონალიზაცია. მოახდინეს ნაციონალიზაცია სოლოვეცკის მონასტრის ყველა გემებისა.

ალექსანდრე ბატონიშვილი სპარსეთში

საქართველოს ამ მიტრიდატის და ამის შვილის, ირაკლის შესახებ, ჩვენ ერთი წიგნი დავბეჭდეთ 1882 წ. რადგანაც თქვენმა პატივმცემელ გაზეთ „სახალხო საქმემ" გვამცნო, რომ ამ გამოჩენილი პირის შთამომავალნი მის გვამის გადმოტანას აპირებენ სპარსეთიდან საქართველოში ამიტომ ვალათ ვრაცხ, რომ ამ გამოჩენილი გმირი პირის შესახებ ჯერ-ჯერობით რამდენიმე ცნობა მოგაწოდოთ.

ბატონიშვილი ალექსანდრე დიდი წინააღმდეგი იყო გიორგი მეფის, ამას მაინცა და მაინც არც გიორგის შვილი დავითი მოსწონდა. ეს გმირი კაცი იდგა იმ მცნებაზე, რომ გიორგის შემდეგ, უნდა გამეფებულიყო იულონი ძმა გიორგისა, რის ანდერძის წერილიც მეფე ერეკლეს დაუტოვა.

ამიტომ ალექსანდრე ბატონიშვილი გიორგი მეფეს ნებას არ აძლევდა, რომ საქართველოს ეს მეფე რუსებზე ჰყიდდა დედინაცვლის და რძლის ჯავრით. მეფე გიორგას ამისთვის დიდს წინააღმდეგობასაც უწევდა. საქართველოში რუსების შემოსვლის შემდეგ, რადგანაც ყველა ბატონიშვილებს რუსეთში ასახლებდნენ, ალექსანდრე ბატონიშვილი გაიქცა სპარსეთში, ბაბა-ხანთან, იქ შეაფარა თავი და მის მერე მან დაუწყო ბრძოლა რუსეთის მხედრობას ხან სპარსეთის ჯარით, ხან ოსმალეთის, და ხან ლეკების, ამ კაცის ბრძოლამ 1801 — 1844 წლამდე გასტანა. ჰქონდა ისეთი შემთხვევა, რომ ორჯელ კინაღამ ტფილისი აიღო და რუსები განდევნა. ესეთი ბრძოლანი არც მას უჯდებოდა იაფად და არც რუსებს. ნამეტურ საყურადღებოა ამისაგან კახეთის აჯანყება 1812 წ. და 1813 წ.

ამ პირის შესახებ, სპარსელი სომხის მწერალი მელიქ ზადე, აი რას მოგვითხრობს:

ალექსანდრე ბატონიშვილი გარდაიცვალა სპარსეთში 1848 წ. ამ დაუცხრომელმა კაცმა მთელი თავის სიცოცხლე რუსეთის მთავრობასთან ბრძოლას შეალია. ალექსანდრე ბატონიშვილის ანდერძი იყო, რომ გვამი მისი საქართველოში დაესაფლავებინათ, სამეფო სამარხ ეკლესიაში მაინც თუ არა სხვაგან სადმე.

ამის გამო, მისი გვამი დიდხანს იყო დაუსაფლავებელი და ესვენა თეირანის ქალაქს, შაჰ-ადულ აზიმის უბანში, სომხის ეკლესიაში. ამისი ანდერძი არ აღსრულდა და იგი ჟავუბ ხანმა დაასაფლავა სომხის ეკლესიის კარებში.

თეირანში ბევრმა არ იცის, რომ უბრალო საფლავი, სომხის ეკლესიის შესავალ კარებთან შეიცავს თავის შორის უკანასკნელს გმირს საქართველოს მეფობისას.

ამავე ალექსანდრე ბატონიშვილის შესახებ სომეხთა ისტორიკოსი ალექსანდრე ეროცოვი მოგვითხრობს შემდეგს:

„ამ ბოლოს დროს, როგორც დამსწრე პირები ამბობენ, ალექსანდრე ბატონიშვილი, დიდს სიღარიბეში მოკვდაო. ის გარდაიცვალა 1844 წელს. დამარხულია თეირანში, სომხის ეკლესიის კარებთან, მარჯვნივ. ახლაც აძევს უბრალო ქვა, რომელიც უჩვენებს, სადაც არის დასაფლავებული ამ მოუსვენარი კაცის გვამი".

ამ ორს ცნობაში ალექსანდრეს გარდაცვალება სხვა და სხვა წლებს არის ნაჩვენები, ჩვენის ფიქრით კი უფრო სწორი უნდა იყოს 1844 წ.

ასე და ამ გვარად, ალექსანდრე ბატონიშვილი თეირანში დასაფლავებულია იმ საყდარში, რომელიც არსებობს შაჰ-ადულ აზიმის უბანში, ეკლესიის კარის შესავალში, მარჯვენა მხარეს. ასე ამბობენ ამას სომხური ცნობები.

ზ. ჭ.

მოწერილი ამბავი

სოფ. გრემის ხევში (დუშეთის მაზრა). ყოფნის დროს შევსწარი სოფლის კრებას, ადგილობრივ მცხოვრებელ ნიკა ბუზალაძის მეთაურობით, კვირას ივლისის 21-ს, რომელზედაც იქმნა შემდეგი საკითხები დასმული: 1) იმ იარაღის ნაწილის ჩაბარება რომელიც ჯერ სოფელს სრულად არ ჩაუბარებიათ; 2) ახალი ნიხრის შემუშავება ამავე სოფელში შემოსავლებად და სხვა. პირველ საკითხზე იყო მიცემული წინადადება იმავე ბუზალაძეს მიერ რომ იარაღი დაუყონებლივ უნდა იქმნას ჩაბარებული, ვისაც ჯერ კიდევ არ ჩაუბარებია. იარაღის ჩაბარება ერთხმად იყო მიღებული, ზოგმა ამავე დღესვე ჩააბარა კიდეც. უნდა ითქვას რომ კრებას არ დაესწრნენ ზოგიერთი გარეთა სოფლები ამავე საზოგადოებისა, როგორადაც არბუეთი, სარბიელი და სხვ. აგრეთვე განიხილეს საკითხი ნიხრისა შეიმუშავეს ნიხრი აწინდელ კვალობაზე და წარმოუდგინეს კრებას, რაიც შეუსწორებლივ იყო მიღებული კრების მიერ.

ახლანდელი ფასები ასეთია: კოდი პური 150—200 მან. კოდი ქერი 150 200 მ., ალო დღიური 70 120 მან., თითო კვერცხი 30 კაპ, მუშა დღეში 7—8 მან., ჩარექა არაყი 5 მან., ყველი გირ. 4-5 მ

ახლად დადებული ნიხრი: კოდი პური 20 მან., კოდი ქერი 10 მან., ალო დღიური 20 მან., ქათმის დედალი 1 მ. წყვ კვერცხი 05 კ, მუშა დღეში 2 მან, ჩარექა არაყი 50 კაპ., ყველი გირ. 40 კაპ. და ყველა სხვაზე რაც სოფელში იშოვება და სოფელს გამოუვა ხელიდან.

სულიერი განწყობილება სოფელში ასეთია დღითი დღე მოელიან გვარდიელებს, წითელ გვარდიელები მოდიანო და ამით ცოტა არ იყოს შფოთდებიან. სხვაფრივ-კი მისდევენ მშვიდობიან ჩვეულებრივ ცხოვრებას და მუშაობას, მკას და ლეწვას. მოსავალი აქ საშუალოდ უნდა ჩაითვალოს ქერი ძრიელ დაბალია და მოცდენილი, მეტი წილი ითიბება პურიც კი თხელია ამბობენ გამოსავალი კარგი აქვსო გალეწილი ჯერ ცოტაა.

გ. ბიძნავანიშვილი.

გამომცემელი
სამსონ ფირცხალავა
რწმუნებული მთავარ კომიტეტისა.

იყიდება სასწრაფოდ სახლი 12 (სამზარეულოთი და სხვა საჭირო სადგომებით), მეტად ჯანსაღ ადგილას, ვაჟთა და ქალთა გიმნაზიების მახლობლად. იქვე იყიდება მუხის შკაფი (ბუფეტი). ავლაბარი, მარტყოფის ქ. № 22. 798

ექიმი ი. დ. ჯაფარიძე შინაგანის, ყურის, ყელის და ცხვირის სნეულებანი ავადმყოფებს მიიღებს დილით 11—1 ს საღამოს 5—7 ს მადათოვის ქ. № 7 ტელეფონი 17—48. 1153

ექიმი გ. მ. მუხაძე კოჯორში გაემგზავრა და აქ ავადმყოფების მიღება 1 აგვისტომდე შეჩერებულია 1030

ექიმი გ. ლ. შალამბერიძე იღებს საბებიო და საშვილოსნოს ავადმყოფთ, საღამოს 5—7 ს. მისამართი პეტროგრადის ქ. № 7. 1027

ექიმი დ. შარაშანიძე იღებს ყოველ დღე შინაგან და ბავშვთა სნეულებიან ავადმყოფთ დილის 11—2 ს., საღამოთი 5—8 ს[illegible] № 7. 2130

ექიმი ი. ი. ბერიშვილი დაბრუნდა და განაახლა მიღება ვენერიული, საშარდე ორგანოების, სიფილისის (შეშხაპუნება 606—914) და კანის ავადმყოფობისა. დილით 9—12 ს. და საღამოთი 5—8 ს. ქალების მიღება 12—1 ს. კვირაობით მხოლოდ დილით. მიხაილოვის შესახვევი სასტუმრო „ნოეს" პირდაპირ № 8. 450

ექიმი ვ. მუსხელიშვილი იღებს ავადმყოფთ დილის 12—2 საათ. ყორღანოვის ქ. № 6.

ექიმი ქბილისა კონსტანტინე არდაზიანი განაახლა ავადმყოფების მიღება 11—2 საათამდის. მელიქოვის ქუჩა № 11 ექიმი არდაზიანის ბინა. 1219

ექიმი ნ. ი. მახვილაძე იღებს სპეციალურად მალარიით (ციება) და მისი შედეგებით დასნეულებულთ, სისხლის ნაკლებობით, გულისა, ფილტვისა, ქალებით და სხვ. შინაგან სნეულებით ავადმყოფთ ყოველ დღე საღამოს 5—7 ს. ელექტრიზაცია და მასსაჟი. მისამართი მოსკოვის ქ. № 11. 426

ექიმი ა. ტყეშელაშვილი ღებულობს ავადმყოფებს ვენერიული, საშარდე და სასქესო მილის სნეულებანი, სიფილისი (606 და 914) შეშხაპუნება). საღამოობით 5½—7 საათ. ყოველ დღე გარდა კვირისა კერძო სამკურნალო მიხაილოვის პროსპექტი № 167. 200

ექიმი დ. ვ. ჯავახიშვილი იღებს შინაგან და ბავშვთა სნეულებიან ავადმყოფთ, ყოველ დღე, კვირის გარდა საღამოს 5—7 საათამდე, გუნიის ქუჩა, № 41. ტელეფ. 14—09. 1032

ექიმი პავლე არდაზიანი დაბრუნდა. იღებს ბავშვთა და შინაგან ავადმყოფთ, დილის 8—9 ს. და საღ. 4—6 ს. მელიქოვის ქ. 12, 9 უბანი. 1002

ექიმი შ. ა. მიქელაძე მიიღებს შინაგან და ბავშვთა სნეულებიან ავადმყოფთ ყოველ-დღე საღამოს 6—7 საათამდე, მიხეილის პროსპექტი № 117.

კერძო მიხეილის სამკურნალო მუდმივი ლოგინებით.
ავადმყოფების მიღება ყოველ დღე დილის 10 საათიდან. მიხეილის პროსპექტი, 167. 747

მედიცინის დოქტორი მიუნხენის უნივერსიტეტისა ნ. ლ. ტურიაშვილი
იღებს ავადმყოფებს ყოველ დღე 12 შუადღ. და 4—5 საღ. შინაგანი, ბავშვებისა, საბებიო და საშვილოსნოს სნეულებანი. ნიკოლოზის ქუჩა № 7. სიმფოვიჩის აფთიაქის გვერდით. 624

თვალის სამკურნალო მუდმივი საწოლით ექიმ დონხინისა
რომელიც დიდი ხნის განმავლობაში ასისტენტად იყო ვენასა და პარიზში თვალის კლინიკებში. თვალით ავადმყოფნი მიიღებიან დილის 9—1 საათამდე და საღამოს 4—7 ს. მიხეილის პროსპ. № 141 (აპოლოს კინო-თეატრის მახლობლად). მძიმე და საოპერაციო ავადმყოფები სრული პანსიონითაც მიიღებიან. 620

ექიმ ნავასარდიანის პირველი კერძო სამკურნალო
(დაარსებულია 1880 წელს)
ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ ყოველ დღე (გარდა კვირისა) დილით:
„606" და „914" 11—12 ს.
ბ. ა. ნავასარდიანი — 11—12 ს. ქირურგიული და ვენერიული (სიფილის. ავადმყ.)
ე. ი. მაშნერი: 9 10 ს. ქალებისა და საშარდის.
ბ. გ. აგახაროვი: 9½—2 ს. ბავშვთა შინაგანი ავადმყ.
აგეტისიანი — კანისა და ვენერიულ ავადმყოფებს 1½ ს.
მ. მ. ბენიამოვიჩი: 10 12 ს. ყურისა, ყელისა და ცხვირის სნეულებანი.
ხ. გ. აგეტისიანი — 9 11 საკუთარი ბავშვთა ავადმყ.
ი. ი. ტერ-გრიგორიანცი: 1—2 ს. შინაგანი.
საღამოთი:
ა. ნ. ისაკიანცი: 6—7 ს. ქალური ავადმყოფობანი და ქირურგიული.
რჩევა-დარიგება 1 მან. ხელმოკლეებისთვის უფასოდ, კონსულტაციები და ოპერაციები მორიგებით.
სამკურნალოს დირექტორი მედიცინის დოქტორი ბ. ნავასარდიანი. 1[illegible]

საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი
„სახალხო საქმე"
ღირს: თვით 8 მან., ნომერი ღირს პროვინციასა და ტფილისში 40 კაპ., რკინის გზის სადგურებზე 50 კ., განცხადება: ჩვეულებრივი სტრიქონი პეტიტით პირველ გვ. 50 კაპ., უკანასკნელ გვ. 40 აპ. სამგლოვიარო განცხადება 15 მან. ხელის მოწერა და განცხადება მიიღება რედაქციის კანტორაში ყოველ დღე დილის 9—3 საათამდე, სასახლის ქუჩა, № 6, ფოსტის ყუთი 190, ტელეფონი 12—29.

სტამბა „სახალხო საქმე". ტფილისი. ბარონის ქ. № 14.